პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 128 (19270) სამშაბათი, 4 ივნისი, 1985 წელი ფასი 3 კაპ.

თიბათვე

თიბათვე მოსულა, თიბვა დაწყებულა, მთიბავები მინდვრად გასულან, ხარობს ხალხი. ამიტომაც ვამბობთ თიბათვე — ივნისი საკვებმომპოვებელთა მკაცრი გამოცდილია. სწორედ თიბათვეში ითიბება ნათესი და ბუნებრივი ბალახები, მზადდება მეტად ყუათიანი საკვები — სენაჟი. ამიტომაც თიბვის დაწყებისთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ — უკანასკნელ წლებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ — რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, სოფლის ყველა მშრომელს მიმართეს წერილით, რომელშიც ვკითხულობთ: იმისათვის, რომ მივაღწიოთ კარგ შედეგებს, მაქსიმალურად დავაგროვოთ საკვები მომავალი გამოზამთრებისათვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა გავზარდოთ მუდმივმოქმედი რაზმებისა და ბრიგადების რიცხვი, ამასთან მათ მივუჩინოთ საკვები კულტურების, ბუნებრივი საკვები სავარგულების ფართობები, საჭირო ტექნიკა და მოწყობილობა საკვების გადასამუშავებლად. საკვებწარმოებაში ფართოდ უნდა დაინერგოს კოლექტიური იჯარა. საკვებდამამზადებელთა ბრიგადებმა და რგოლებმა, რომლებიც კოლექტიური იჯარით მუშაობდნენ, შარშან გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს საკვების დამზადების ტემპის დაჩქარებაში. გულდაჯერებით შეიძლება ითქვას — თუ პატრონი ეყოლება საკვებ მინდორს, კარგი შედეგებიც იქნება. კარგი პატრონის ხელში საკვები მინდორი მართლაც გულუხვია. გულუხვ მინდორს მკლავმაგარი, საქმის ერთგული და მოჭირნახულე მთიბავები, საკვებმომპოვებლები უნდა. მართალია გაზაფხულმა თითქმის ერთი თვით დააგვიანა, მაგრამ მერე ერთბაშად წამოიდო ბალახი და მთიბავებს მოუხმო. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ესა თუ ის საზოგადოებრივი მეურნეობა როგორ წარმართავს თივისა და სენაჟის დამზადებას, როგორ გაანაწილებს მუშახელს, როგორ მოაწყობს მოზღვავებულ საზაფხულო სამუშაოთა ორგანიზაციას, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, და ხუთწლედის დამამთავრებელ წელიწადს და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედს წარმატებით დაამთავრებს.

თიბათვის დადგომამდე ბარის რეგიონების სოფლებში მთელი ძალით გაჩაღდა უხეში საკვების დამზადება. რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვა და სენაჟის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს. შარშანდელთან შედარებით გათიბულია 1.000 ჰექტარით მეტი. კარგად მიმდინარეობს სენაჟის დამზადება, ზაფხულის დადგომამდე შარშანდელთან შედარებით 14.550 ტონით მეტია დამზადებული. ამას ვერ ვიტყვით თივისა და ბალახის ფქვილის დამზადებაზე — თივა 2.323 ტონით, ხოლო ბალახის ფქვილი 725 ტონით ნაკლები დამზადდა.

არადა, შარშანდელთან შედარებით წელს თივის დასამზადებლად არცთუ ისე ურიგო პირობებია. საჭიროა მონდომება, გულისყური, ხელმძღვანელთა დამრაზმავი მოქმედება, გამჭრიახობა. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისიც, რომ რამდენიმე წელია რაიონებში აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს და საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს სპეციალურად ჰყავთ მოადგილეები საკვებწარმოების დარგში. გამოდის, რომ იქ, სადაც ყველა თავის საქმეს დროზე და პასუხისმგებლობით აკეთებს, საკვების დამზადება შეუფერხებლად და აგროვადებში მიმდინარეობს. ეს იმიტომ, რომ ამ ახალ თანამდებობაზე საქმის მოყვარული, ენერგიული ამხანაგები შეარჩიეს. მაგრამ ხდება ისეც, რომ ამ საპატიო საქმეს ფორმალურად უდგებიან. — შეარჩევენ შეუფერებელ მუშაკს, ზოგჯერ არასპეციალისტს, მინდობილი საქმისადმი ინდიფერენტულს და ფერმის პირუტყვი უსაკვებოდ რჩება. ასეთი საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელები ზამთრის პირას და ზამთარში მთელ რესპუბლიკაში და, სამწუხაროდ, რესპუბლიკის გარეთაც, კარდაკარ დადიან, რომ როგორმე გამოაზამთრონ პირუტყვი.

ახლა, გვიან გაზაფხულსა და ზაფხულის დამდეგს მოსული წვიმების შემდეგ, რომ იტყვიან, ქვაზეც კი ბალახია ამოსული. მთავარია, არსად მოუთიბავი არ დავტოვოთ ბალახი. გარდა ამისა, დაიწყო თავთავიანების მკა — ქერი გაიჭრა. ნამჯა ხომ საუკეთესო საკვებია! ამიტომ მემინდვრეთა ნობათი — ნამჯა საკვებმომპოვებლებმა უკლებლივ უნდა დაზვინონ ფერმებთან. უხეში საკვების დასაგროვებლად, ისევე როგორც წინა წლებში, სოფლის მთელი მოზრდილი მოსახლეობა უნდა ჩააბან. ქუდზე კაცი უნდა გაიყვანონ სათიბსა და სამკალში. საქმიანად, შემოქმედებითად უნდა გამოვიყენოთ თბილისის მეტყევეთა შარშანდელი გამოცდილება. მათ დიდძალი თივა დაამზადეს ისეთ ადგილებში, რომლებსაც სათიბი მანქანები ვერ უდგებიან. წელსაც ასეთივე ენთუზიაზმით უნდა წარვმართოთ თივის დამზადების საქმე.

თიბვასა და ნამჯის შეგროვებაზე თავიანთი სიტყვა უნდა თქვან საკვებმომპოვებელთა იჯარულმა ბრიგადებმა. მათი საპატიო ვალია ახლავე ტემპიანად იმუშაონ, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა პირუტყვს საყოფად ჰქონდეს საკვები. მათ ყველაფერი უნდა იღონონ, რომ გამოზამთრების დროს შეფერხებანი აღარ იყოს. საკვებმომპოვებელთა იჯარულმა ბრიგადებმა აქედანვე უნდა გაითვალისწინონ, რომ საკვებმა ფერმამდე მიტანის დროს არ დაკარგოს თავისი საუკეთესო თვისებები. ამიტომ უაღრესად საჭიროა, რომ ყუათიან ნივთიერებათა შენარჩუნებისადმი კონტროლი იყოს გამჭოლი, ეხებოდეს საკვების დამზადების პროცესის ყველა რგოლს. ხომ ცნობილია, რომ ძირითადად დანაკარგები ბალახის დაგვიანებით თიბვის, თივის უგერგილოდ დაწნეხვის, ვენტილაციისა და დაზვინვის შედეგია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სენაჟის ჩადებისა და ბალახის ფქვილის დამზადების წესების დაცვას. მთელი მწვანე მასა უნდა გადამუშავდეს უდანაკარგოდ, ტექნოლოგიური წესების მკაცრად დაცვის პირობებში.

გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ თვით საკვებდამამზადებლები. ყველაფერი უნდა ვიღონოთ მათი შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. საკვების დამზადება შემჭიდროებულ ვადებში უნდა დამთავრდეს. ეს იქნება პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების უტყუარი პირობა.

საკვებმომპოვებლებო, სოფლის მშრომელებო! თიბათვის ყოველი დღე მაქსიმალურად გამოვიყენოთ, დავაგროვოთ საკმაო საკვები, წარმატებით შევეგებოთ სკკპ XXVII ყრილობას, საპატიო წვლილი შევიტანოთ სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უმკაცრესი მომთხოვნელობით

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საბინაო-კომუნალური მეურნეობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ბავშვთა დაწესებულებების განყოფილების უფროსი ინჟინერი ვ. ზამთარაძე ამ განყოფილების უფროსთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრთან რ. კოპალეიშვილთან და ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მუშაკთან ა. ქირიასთან ერთად სამუშაო დროს გაემართა რესტორან „ინტურისტში", შემდეგ მათ მთაწმინდის პლატოზე განაგრძეს სმა. საღამოს გადაწყვიტეს „გაენავარდათ" და მეზარხოშებული კომპანია ინდივიდუალური მანქანის მფლობელს ამირანაშვილს შეუჩნდა, ქალაქგარეთ წაგვიყვანეო. უარი რომ მიიღეს, ვ. ზამთარაძემ ავტომანქანის მფლობელს ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. „მოქეიფე" მილიციამ დააკავა, იგი სასამართლოს წინაშე წარდგა და სასჯელად მიიღო წლინახევრით პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

ბოროტი ხულიგნობის ფაქტი დაუმალეს სამინისტროს ხელმძღვანელებს, სამინისტროს ფოსტიდან გაქრა მინისტრის მოადგილის თ. მენაბდისათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო ვ. ზამთარაძის მიერ ჩადენილი დანაშაული.

გამოძიების დროს ვ. ზამთარაძემ რ. კოპალეიშვილის ხელშეწყობით შეადგინა და კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს გაუგზავნა განყოფილების თანამშრომელთა საერთო კრების ფიქციური ოქმი, რომელიც შეიცავდა შუამდგომლობას იმის თაობაზე, რომ ვ. ზამთარაძე ხელახალი აღზრდისათვის გადაეცათ კოლექტივისათვის, და ცნობას, რომ გამოიყო საზოგადოებრივი დამცველი სასამართლო პროცესში მონაწილეობისათვის. კრების ოქმის თანდართულ ბარათს ხელი მოაწერა თვით რ. კოპალეიშვილმა.

მინისტრის მოადგილემ თ. მენაბდემ მოუტევებელი დაუდევრობა დაუშვა, როცა ხელი მოაწერა ვ. ზამთარაძის დახასიათებას ისე, რომ არ გაურკვევია, ვის და რისთვის სჭირდებოდა იგი. ხოლო ვ. ზამთარაძემ კიდევ ერთი თაღლითური ხრიკი იხმარა. მან ორჯერ აიღო შვებულება — მორიგი და უხელფასო — და ამ დროს სასჯელის მოსახდელად ცხადდებოდა მიმაგრების ადგილას.

ამ თაღლითის ოსტატურ მანევრებში დაეხმარა საავადმყოფო ფურცელი, რომელიც თბილისის ორჯონიკიძის რაიონის №18 პოლიკლინიკამ გასცა.

— როგორ მოხდა, რომ სისხლის სამართლის საქმე დაიმალა?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, განიხილა რა „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აპარატისა და თბილისის ორჯონიკიძის რაიონის №18 პოლიკლინიკის თანამშრომელთა მიერ დისციპლინის უხეში დარღვევისა და ბოროტმოქმედების, და პასუხისმგებელი მუშაკების მიერ სამუშაო დროს ლოთობის ფაქტის მიჩქმალვის საკითხი, აღნიშნა, რომ ბოლო დროს შემცირდა მომთხოვნელობა თანამშრომლებისადმი, მათ შორის ხელმძღვანელი შემადგენლობისა და კომუნისტებისადმი მათ მიერ შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის მკაცრად დაცვისათვის.

ვ. ზამთარაძის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამალვას ბევრად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ მიმოწერა სამინისტროს სახელით სახალხო სასამართლოსთან წარმოებდა იმ განყოფილების მეშვეობით, რომელშიც თვით ამ საქმით დაინტერესებული პირები მუშაობდნენ. ამიტომ ეს დოკუმენტები რეგისტრირებული არ იყო კანცელარიაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად ცნო მუშაობა, რომელსაც მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობა და სამინისტროს აპარატის პარტიული ორგანიზაცია, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის №18 პოლიკლინიკის ხელმძღვანელობა ეწევიან თანამშრომელთა შორის შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მკაცრი წესრიგის დამყარებისა და აპარატების განყოფილებებსა და სამსახურებში საქმის მდგომარეობისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცნობად მიიღო, რომ:

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აპარატის პარტიული კრების გადაწყვეტილებით კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელის გამო, რაც გამოიხატა შრომის დისციპლინის უხეში დარღვევით და ლოთობით სამუშაო დროს, განყოფილების თანამშრომლის ვ. ზამთარაძის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტის მიჩქმალვით, აგრეთვე სახალხო სასამართლოში განყოფილების საერთო კრების ფიქციური ოქმის წარმოდგენისა და არაგულწრფელობისათვის, სამინისტროს საბინაო-კომუნალური განყოფილების უფროსი, სკკპ წევრი რ. კოპალეიშვილი გარიცხეს სკკპ რიგებიდან, ხოლო სამინისტროსადმი ბრძანებით იგი გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

ვ. ზამთარაძე მოხსნეს თანამდებობიდან;

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით, ვ. ზამთარაძის შრომისუუნარობის შესახებ საავადმყოფო ფურცლის დაუსაბუთებელი და უხეში დარღვევით გაცემისათვის თბილისის ორჯონიკიძის რაიონის №18 პოლიკლინიკის მთავარი ექიმი შ. ხარაზიშვილი, მთავარი ექიმის მოადგილე საექსპერტო ნაწილში რ. კაჭახიძე, მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო ნაწილში შ. სარალიძე გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

საქვეუწყებო სამსახურებისადმი უკონტროლობისათვის, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი თანამშრომლისათვის დახასიათების გაცემის წესის დარღვევისათვის, მინისტრის მოადგილეს, სკკპ წევრს თ. მენაბდეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. იგი გააფრთხილეს, რომ ამგვარი ფაქტის განმეორების შემთხვევაში მოხსნიან სამუშაოდან და გარიცხავენ პარტიიდან.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრს გ. გამცემლიძეს და სამინისტროს აპარატის პარტორგანიზაციის მდივანს ლ. ლომიძეს მიეთითათ სამინისტროს აპარატის მუშაობაში არსებით ნაკლოვანებებსა და სერიოზულ ხარვეზებზე, იმაზე, რომ საჭიროა გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა კოლექტივში, განამტკიცონ დისციპლინა და გაზარდონ მომთხოვნელობა ყველა სამსახურში.

მასალები, ვ. ზამთარაძისათვის შრომისუუნარობის ფურცლის დაუსაბუთებელი მიცემისათვის გადაეცა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაავალა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა გადაჭრით აღმოფხვრან ლოთობის, შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მკაცრად მოჰკითხონ კომუნისტებს, რომლებიც სჩადიან სახელის გამტეხ საქციელს, ამასთან სკკპ რიგებიდანაც კი გარიცხონ. (საქინფორმი).

როცა საქმეს გულით ეკიდები

ორმოცდაათი წელი უსრულდება საშვილიშვილო საქმეს, რომელსაც შარმაგი კაცი დიმიტრი ზურაშვილი ერთგულად და გატაცებით ემსახურება. ამ ერთგულების თავიდათავი კი ის არის, რომ მან სიჭაბუკეში თვითონვე აირჩია შრომის ასპარეზი.

— ალაზნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომკავშირულ კრებაზე, — იგონებს დიმიტრი, — პარტიის სიღნაღის რაიკომის მაშინდელმა პირველმა მდივანმა მიხეილ ალავერდაშვილმა განაცხადა, ახლა ყველაზე მეტად კადრები მეცხოველეობაში გვჭირდებაო. მამაჩემი მეცხვარე კაცი იყო, ეს დარგი მიყვარდა და ალბათ ამიტომაც მდივნის ნათქვამი განსაკუთრებით ჩამწვდა გულში. მერე ისე მოხდა, რომ რამდენიმე ახალგაზრდას ქვემო მაჩხაანის ზოოვეტტექნიკუმის საგზურები მოგვცეს. წარჩინებით დავამთავრე ტექნიკუმი და იმავე წელს უგამოცდოდ თბილისის ზოოვეტინსტიტუტში ჩამრიცხეს.

ერთხანს დიმიტრი სიღნაღის რაიონში მეცხოველეობის სანაშენო საკოლმეურნეობათაშორისო სადგურის დირექტორი იყო და უნარიანად უძღვებოდა ამ საქმეს. მაგრამ მის შრომას სულ სხვა ფასი დაედო, როცა 1971 წლის თებერვალში თუშური ცხვრის სახელმწიფო ჯიშთსაშენის ხელმძღვანელობა შესთავაზეს და საშუალება მიეცა მთელი ცოდნა და ენერგია ქართული ცხვრის გამრავლებისათვის მოეხმარებინა.

— ჩვენში ცხვარი ოდითგანვე მომთაბარეობდა, — ამბობს დიმიტრი. — საზამთრო და საზაფხულო საძოვრებით, ბაჟი და ყუათიანი საკვებით სარგებლობდა, მომგებიანი იყო. ბარაქიანობით თუშურ ცხვარს ბადალი არ ჰყავს. ამ ჯიშის საქმე კი მაშინ წახდა, როცა ნაზსაწმისიან ცხვართან მისი შეჯვარება მოინდომეს.

ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა ჯიშის აღდგენა, მაგრამ ნაჯვარი ცხვრიდან სუფთა ჯიშის გამოყვანა იოლი როდი გამოდგა. ჯიშისათვის დამახასიათებელი თვისება, პროდუქტიულობა, მომთაბარეობის ამტანობა რომ დაებრუნებინათ, დროდადრო უვარგისი ნამატი გამოეწუნებინათ, ერთეულები ასად და ათასად [illegible] ფარები მოემრავლებინათ როგორც ჯიშთსაშენში, ისე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ამას ათეული წლები, დიდი შრომა და გარჯა დასჭირდა.

ამ საქმეს ამაგი დასდეს ზოოვეტერინარულმა და სხვა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, ჯიშთსაშენის თითოეულმა სპეციალისტმა, თუ რიგითმა მეცხვარემ, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მთავარი კი ის არის, რომ იდეას ხორცი შეესხა, გაიმარჯვა საქმემ, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი დიმიტრი ზურაშვილია.

1975 წლიდან ჯიშთსაშენი ყოველწლიურად ელიტა ფარების შესაქმნელად საზოგადოებრივ მეურნეობებს ამარაგებს 1.000 სული თუშური ცხვრით. დღეისათვის 85 ელიტა ფარიდან, ანუ 28 ათასი სული ნერბიდან ყოველწლიურად 10.000 სარეალიზაციო ბატკანს იღებენ. ეს ნიშნავს, რომ თუშური ცხვარი საქართველოში აღდგენილია და მალე საკავშირო აპრობაციას გაივლის. ამ ჯიშის ცხვრის საშუალო წონა, კარგი მოვლის პირობებში, 80-100 კილოგრამი, ხოლო მატყლის წლიური ნაპარსი 6-8 კილოგრამია.

ასეთი ძვირფასი მონაცემებისათვის თუშური ცხვარი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე რეკორდსმენად აღიარეს.

ვლ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მხატვარი ო. ჩუბინიძე.

მრწამსიდან — მოქმედებისაკენ

დამთავრდა სასწავლო წელი მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში. მაისის უკანასკნელ დეკადაში გამართული შემაჯამებელი მეცადინეობა გახდა თეორიული ცოდნის დონის, შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებისათვის მსმენელთა მუშაობის დათვალიერება. მან შესაძლებელი გახადა განემტკიცებინათ მიღებული ცოდნა, უფრო ღრმად გაეაზრებინათ პარტიის თეორიისა და პოლიტიკის საკითხები თანამედროვე საზოგადოებრივ პრაქტიკასთან, პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წინაშე მდგომი კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური და აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტასთან მჭიდრო კავშირით.

სწავლის შინაარსის აქტუალიზაცია, ცხოვრებასთან, საარსებო საზოგადოებრივი და საწარმოო პრობლემების გადაწყვეტასთან მისი კავშირის განმტკიცება — აი მთავარი, რომლითაც გამოირჩეოდა გასული სასწავლო წელი. პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური სწავლების, ეკონომიკური განათლების ყველა ფორმაში მსმენელთა განსაკუთრებული ყურადღება იყო მიპყრობილი იმ სოციალურ-ეკონომიკური, იდეურ-ზნეობრივი ამოცანებისადმი, რომლებიც პარტიის XXVI ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა დასახეს. სწავლის დამამთავრებელ ეტაპზე ამ ამოცანების საქმიანი, დაინტერესებული მსჯელობის საგანი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებანი, დებულებანი და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლები.

შემაჯამებელ მეცადინეობას განსაკუთრებული აზრი მიანიჭა 23 მაისს რესპუბლიკაში გამართულმა ერთიანმა პოლიტდღემ, რომელიც მიეძღვნა ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივთან შეხვედრაზე ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას. ყველგან მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე გამართულმა პოლიტდღემ განსაზღვრა თვით მეცადინეობის ხასიათი, მსმენელთა აქტიურობა, მათი მტკიცე გადაწყვეტილება — იმუშაონ ნოვატორულად, შემოქმედებითად, ყველაფერი იღონონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

პრაქტიკულად ყველა მეცადინეობაზე გამოითქვა კონკრეტული წინადადებანი, რომ უფრო სწრაფად გადაიყვანონ ეკონომიკა განვითარების ინტენსიურ გზაზე, აამაღლონ ორგანიზებულობა, განამტკიცონ წესრიგი და დისციპლინა, ერთსულოვნად მოიწონეს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებანი. საგნობრივი, მომთხოვნელი სჯა-ბაასი გაიმართა მტკივნეულ საკითხებზე, ორგანიზატორული, პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების შემდგომი დახვეწის გზებზე. წამოაყენეს რა თავიანთი შრომითი კოლექტივების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პრობლემები, პროპაგანდისტებმა და მსმენელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ საჭიროა დაუკავშირონ ისინი იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, უზრუნველყონ სიტყვისა და საქმის ერთიანობა. შემაჯამებელი მეცადინეობის დროს მისმა მონაწილეებმა გააანალიზეს სასწავლო წლის შედეგები, განაზოგადეს შეძენილი გამოცდილება, დასახეს ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი, იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი, რომ უთუოდ შეასრულებენ მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებებს, ღირსეულად შეხვდებიან ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა მომავალ ფორუმებს.

სწავლის წარმატებით დამთავრება ბევრად განსაზღვრა იმან, რომ შემაჯამებელ მეცადინეობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკები. ტრადიციისამებრ, მათ მეცადინეობა ჩაატარეს, როგორც პროპაგანდისტებმა, მშრომელთა პოლიტიკური სწავლებისა და ეკონომიკური განათლების სისტემის საშეფო სკოლებსა და სემინარებში.

მეცადინეობას უძღვებოდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, ფ. ს. სანაკოევი, ქ. ქ. შარტავა. (საქინფორმი).

ფოსტა: ყველასთვის საჭირო სამსახური

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

ორ მილიარდ სამ მილიონზე მეტ ეგზემპლარ გაზეთსა და ჟურნალს, თითქმის ორ-ნახევარ მილიონ ამანათს, 300 მილიონ წერილს აწვდის და უგზავნის ადრესატებს ყოველწლიურად რესპუბლიკის ფოსტა. კავშირგაბმულობის სისტემის ეს უმნიშვნელოვანესი ქვედარგი ფართოდაა გამოყენებული მართვის ორგანოების მწყობრი საქმიანობისათვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მშრომელებთან პარტიული და სახელმწიფო აპარატის კონტაქტების განხორციელებაში, სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ზუსტი და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფაში. მისი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქონელბრუნვასთან, ფულად მიმოქცევასთან, საკრედიტო სისტემასთან.

საზოგადოებისათვის ფოსტის ეს საარსებოდ აუცილებელი ფუნქციები წლითიწლობით სულ უფრო ახალ მნიშვნელობასა და გაქანებას იძენს. საფოსტო კავშირგაბმულობით საქართველოს სსრ რესპუბლიკის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მომსახურების მდგომარეობა და სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი განიხილეს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა, რომელიც 1 ივნისს გაიმართა თბილისში.

დიდი მომთხოვნელობის პოზიციიდან

ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრმა მოაწყო მარტივი ექსპერიმენტი. რესპუბლიკის დედაქალაქის ერთიდაიმავე მისამართით ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან გაგზავნა სამი წერილი. პირველმა ადრესატს მიაღწია სამი დღის შემდეგ, მეორემ — ოთხის, მესამემ ექვსი დღის შემდეგ. კორესპონდენციების ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობის მიზეზების ანალიზმა გამოავლინა დაგვიანების რამდენიმე შემადგენელი ნაწილი — საფოსტო ყუთებიდან წერილების არადროული ამოღება, მათი ხანგრძლივი დამუშავება და ადრესატისათვის დაგვიანებით მიტანა.

აქტივის კრების გამართვამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით თხოვნით მიმართა მოსახლეობას, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს გამოეთქვათ თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი ქვედარგის მუშაობის შესახებ. უხვმა ფოსტამ თავისი სისტემის მეშვეობით საკუთარი თავისადმი ბევრი კრიტიკული შენიშვნა მოიტანა. კერძოდ, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები აღნიშნავენ, რომ ხშირად ისინი იღებენ კორესპონდენციას „არადანიშნულებისამებრ", არასწორად წარმოებს შეკვეთილი გზავნილების რეგისტრაცია, ჭიანურდება წერილების, დეპეშების მიტანის ვადები. ბევრი საჩივარია მიღებული მოსახლეობისგანაც, რომელიც იუწყება, რომ ხშირად ჟურნალ-გაზეთები, კორესპონდენცია რამდენიმე დღის განმავლობაში დევს კავშირგაბმულობის განყოფილებებში. მაგალითად, ქალაქ გუდაუთაში ორთვენახევრის განმავლობაში არ მიუტანიათ წერილები, პენსიები, ჟურნალ-გაზეთები ფილიასა და გაგარინის ქუჩებზე, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია მოსახლეობის, მათ შორის, ომის ინვალიდებისა და ვეტერანების საჩივრები პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. კრასნოდარის მცხოვრებმა ტ. გორკოვენკომ გვაცნობა, რომ კავშირგაბმულობის თბილისის № 30 განყოფილების პერსონალი გულგრილად და უპასუხისმგებლოდ მოეკიდა მას. ჯერ მას უარი უთხრეს მიეცათ ტელეგრაფით გამოგზავნილი 300 მანეთი, რისთვისაც მომიზეზეს — სალაროში ფული არ გვაქვსო, შემდეგ კი მიიღეს ფასიანი ამანათი ისე, რომ არ აღუწერიათ რა იდო შიგ. კრასნოდარში მიიღეს [illegible] ამანათი, რომელსაც აკლდა წონა და შიგ მოთავსებული ნივთები.

ასეთი ფაქტები მოსახლეობის თვალში ასუსტებს ფოსტის ავტორიტეტს, უკარგავს მისდამი

(დასასრული მე-2 გვ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

მწერალ კ. ა. ლორთქიფანიძისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი დამსახურებისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მწერალს კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძეს მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კუზნეცოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი, 1985 წლის 3 ივნისი.

საბჭოთა კავშირში

ტ. ჟივკოვის ვიზიტის გამო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი მეგობრული სამუშაო ვიზიტით ჩამოვა საბჭოთა კავშირში 1985 წლის ივნისის დამდეგს.

დიადი მოძრაობის უკვდავება

გუშინ, 3 ივნისს შესრულდა გაზეთ „კომუნისტის" პირველი ნომრის გამოსვლის 65 წლისთავი. ქვემოთ დაბეჭდილ მასალაში ლაპარაკია ცნობილ დონბასელ მეშახტეზე ალექსი სტახანოვზე, მის ქართველ მიმდევრებზე, სტახანოვის სტუმრობაზე საქართველოში და, კერძოდ „კომუნისტის" რედაქციაში.

50 წლის წინათ, 1935 წლის 31 აგვისტოს, დონბასელმა ახალგაზრდა მეშახტემ ალექსი სტახანოვმა ქვეყანა გააოცა — ექვსსაათიან ცვლაში 102 ტონა ქვანახშირი მოანგრია და 14 კაცის ნორმა შეასრულა. ეს კი მთელი შახტის ცვლის გეგმის მეათედს შეადგენდა. სტახანოვს მალე გაუჩნდა მიმდევრები. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ იმავე წლის 14 ნოემბერს სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირში, რომელიც კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა, 3 ათასი სტახანოველი მონაწილეობდა.

ცხადია, სტახანოველები საქართველოშიც მაშინვე გაჩნდნენ. მათ შორის პირველნი იყვნენ ჭიათურელი მანგანუმის მომპოვებლები ტრიფონ ფოფხაძე და ვასილ სამხარაძე, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები დავით ჭიჭინაძე და კონსტანტინე ილურიძე. დიდი სამამულო ომის დაწყებამდე საქართველოში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომრავლდნენ სტახანოველები. სამამულო ომის პერიოდში კი სტახანოვური მოძრაობა მასობრივი გახდა, რაზეც მეტყველებს იმდროინდელი პრესის და კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს" კორესპონდენციები, სიუჟეტები: „ომის დროის სტახანოველები", „ზურგის სიმაგრე ფრონტის სიმაგრეა", „ცოტა ხალხით—მეტი პროდუქცია", „ასე იწრთობიან სტახანოველები", „ომის დროის ტემპით", „ათასოვანი სტახანოველები", „200 ათასი კილომეტრი ურემონტოდ", „სტახანოვური საგუშაგო", „სტახანოვური მოძრაობით გავზარდოთ სამშობლოს ძლიერება", „თესვის სტახანოველები" და სხვა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს ა. სტახანოვთან ხშირი მიმოწერა ჰქონდათ. 1939 წლის დამდეგს ა. სტახანოვმა გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციას აცნობა, რომ იგი მალე ჩამოვა საქართველოში, და ეს დღეც დადგა.

1939 წლის 25 აგვისტოს ალექსი სტახანოვი და დიმიტრი კონცედალოვი, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა მოსკოვის საკავშირო სამრეწველო აკადემიაში, თბილისს ეწვივნენ. აქ სახელმოხვეჭილ მეშახტეს დიდი სიხარულით შეხვდნენ თბილისის რკინიგზის სადგურზე. იმავე დღეს სასტუმრო „თბილისში" გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც სტახანოვმა განაცხადა: „დიდი ხანია ვაპირებდი საქართველოში ჩამოსვლას. ჩამოვედი, რათა საქმიან ვითარებაში შევხვდე ტყვარჩელელ, ტყიბულელ და ჭიათურელ კოლეგებს. ვუამბო დონბასელთა მუშაობაზე, რომ უკეთ მოვაწყოთ უკრაინელ და ქართველ სტახანოველთა შეჯიბრება, მოვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ ვუპასუხოთ კონკრეტული საქმეებით „ცენტრალნაია-ირმინოს" შახტის კოლექტივის მიმართვას სტახანოვური მოძრაობის მეოთხე წლისთავთან დაკავშირებით".

პრეს-კონფერენციის შემდეგ ა. სტახანოვი და დ. კონცედალოვი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს. იმავე საღამოს ისინი ტყვარჩელში გაემგზავრნენ. შემდეგ კი შეხვდნენ ტყიბულის, ჭიათურისა და ზესტაფონის მშრომელებს.

30 აგვისტოს, თბილისში დაბრუნებული ა. სტახანოვი და დ. კონცედალოვი ათვალიერებენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს, ავლაბრის არალეგალურ სტამბას, კომკავშირის ხეივანს, მთაწმინდას.

გაზეთ „კომუნისტის" თანამშრომლებისათვის დაუვიწყარია 1939 წლის 30 აგვისტო, როდესაც მათ ეწვია ა. სტახანოვი და დ. კონცედალოვი. სტუმრები გაეცნენ რედაქციის საქმიანობას, ისაუბრეს მის თანამშრომლებთან, სამახსოვრო სურათები გადაიღეს მათთან. „კომუნისტის" თანამშრომელთა სახელით სტუმრებს მიესალმა გაზეთის მაშინდელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი ერთი წლის შემდეგ ა. სტახანოვმა გულთბილი მისასალმებელი სიტყვები გამოუგზავნა გაზეთ „კომუნისტს", რომელმაც თავისი არსებობის 20 წელი აღნიშნა.

საქართველოში ა. სტახანოვის მოგზაურობას მიეძღვნა თბილისის კინოსტუდიის ქრონიკის სექტორის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „ალექსი სტახანოვი საქართველოში". ფილმის რეჟისორია გ. გუნია, ოპერატორი ლ. არზუმანოვი, კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს" (№ 41 — 1939 წ.) ერთ-ერთ სიუჟეტში ვეცნობით თბილისში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართულ თბილისელ სტახანოველთა შეკრებას, რომელსაც ა. სტახანოვიც ესწრებოდა. საქართველოში ა. სტახანოვის მოგზაურობას მრავალი ფოტოკორესპონდენტიც იღებდა. სტახანოვური მოძრაობა, რომლის ჩირაღდანი ნახევარი საუკუნის წინათ აინთო, ჩვენს დღეებში მასობრივი და საყოველთაო გახდა.

ალ. გვენცაძე,
საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მეთოდკაბინეტის გამგე.

• • •

სურათზე: ა. სტახანოვი. გადაღებულია გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში 1939 წლის აგვისტოში.

ფოსტა: ყველასთვის საჭირო სამსახური

(დასასრული)

ნდობას, აღნიშნეს აქტივის კრების მონაწილეებმა. ისინი მოწმობენ, რომ საფოსტო კავშირგაბმულობაში დისციპლინის საქმე მოიკოჭლებს: დაბალია მომთხოვნელობა, დარღვევების ფაქტები იშვიათად ხდება პრინციპული მსჯელობის საგანი, აქა-იქ სუფევს დაუსჯელობის ატმოსფერო, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად აკონტროლებენ ამ საკითხებს. უფრო მეტიც, ბევრი პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები იშვიათად, ზოგჯერ კი სრულიადაც არ იხილავენ საფოსტო კავშირგაბმულობის პრობლემებს.

ორატორებმა სერიოზული პრეტენზიები გამოთქვეს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს მიმართაც, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ აქ ცუდად სწავლობენ საზოგადოებრივ აზრს, ყოველთვის როდი იციან, რას ფიქრობენ ადამიანები, რას ამბობენ კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობაზე, როგორ აფასებენ ისინი დარგის მუშაობას. ამავე დროს კი მოსახლეობის აზრის შესწავლისათვის ბევრი შესაძლებლობა არსებობს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ საქართველოში მუშაობს ექვსი ათასი ფოსტალიონი. მათი მეშვეობით შეეძლოთ შესაბამისი კითხვებით მიმართავდნენ მცხოვრებლებს, ნიადაგ სწავლობდნენ მათ მოთხოვნილებებს, შეფასებებს, აზრებს.

ფოსტა, მისი მომსახურება საბჭოთა მშრომელის თანამედროვე სოციალური კომფორტის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ყოველივე იმაში, რაც ეხება ადამიანს, მის შრომას, მატერიალურ კეთილდღეობასა და დასვენებას, უნდა ვიყოთ უაღრესად ყურადღებიანი, ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე. ეს ჩვენთვის პოლიტიკის საკვანძო საკითხია. ყოველგვარ დარღვევებსა თუ ნაკლოვანებებს საფოსტო მომსახურებაში, ფოსტის მუშაკთა უყურადღებობასა თუ უხეშობას სამართლიანად აკრიტიკებს მოსახლეობა. კავშირგაბმულობის მუშაკებმა არ უნდა დაივიწყონ, აღინიშნა აქტივის კრებაზე, რომ საქართველო საკურორტო ზონაა, ყოველწლიურად ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან რესპუბლიკაში ჩამოდის მილიონობით ტურისტი. და პრაქტიკულად თითოეული მათგანი სარგებლობს საფოსტო კავშირგაბმულობის მომსახურებით. რესპუბლიკაში აგრეთვე დისლოცირებულია ამიერკავკასიის სამხედრო და სასაზღვრო ოლქები, და მეომრების წერილებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთო საფოსტო გაცვლაში. განამტკიცონ ორგანიზებულობა, წესრიგი, მომსახურების კულტურა — ეს კავშირ-

[...]

ნი განწესით დროის დაბეჯითებითი მოთხოვნაა, ხაზგასმით აღნიშნეს აქტივის კრების მონაწილეებმა. საფოსტო კავშირგაბმულობის ყველა ქვეგანაყოფის მშრომელებმა უკეთ უნდა მოაგ-

ვარონ მათი საქმიანი ურთიერთდამოკიდებულება, ვინაიდან მათ საერთო საქმე აქვთ და

პასუხისმგებლობაც საერთოა

საქართველო რთული ბუნებრივი რელიეფის მქონე რესპუბლიკაა. ჯერ კიდევ ყველა მისი დასახლებული პუნქტი როდი მოუცავს ტელევიზიას, რადიომაუწყებლობას, სატელეფონო კავშირს. ამიტომ ფოსტა ადამიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, რომელიც რეგიონების მცხოვრებლებსა და შრომის კოლექტივებს აკავშირებს რესპუბლიკურ ცენტრებთან, ქვეყნის სხვა რაიონებთან.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ნორმატიული დოკუმენტებით თუ ვიმსჯელებთ, ფოსტა მოსახლეობასა და სახალხო მეურნეობას დაახლოებით 200 სხვადასხვა სახეობის სამსახურს უწევს. მათ შორისაა საფოსტო გზავნილების მიღება, გაგზავნა და გაცემა, პერიოდული პრესის მიტანა, პენსიების გადახდა, საფოსტო გადახდის ნიშნების გაყიდვა, სოფლის მოსახლეობისათვის კავშირგაბმულობის მომსახურების უშუალოდ შინ გაწევა, მრავალი სხვა. მაგრამ, ითქვა აქტივის კრებაზე, ჯერ ყველა ეს მომსახურება ფართოდ როდი გავრცელდა, ამ საქმეში რესპუბლიკის საფოსტო კავშირგაბმულობის მუშაკებს დიდი რეზერვები აქვთ.

მაგალითად, დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის ფოსტალიონების მიერ შინ მომსახურების გაწევას, მაგრამ, რესპუბლიკაში მათი საერთო რიცხვის მხოლოდ 55 პროცენტი ეწევა ასეთ მომსახურებას, მაშინ როცა ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 85-ს, ხოლო უკრაინაში — 99 პროცენტს უდრის. ახმეტის, გორის, ყვარლის, მცხეთის, ორჯონიკიძისა და ჩხოროწყუს რაიონებში ფოსტალიონები იფარგლებიან მხოლოდ ფოსტის დარიგებით. არადა დარგის შემოსავალი ხომ მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, სოფლის ფოსტალიონებმა რომ იკისრონ თავიანთ უბნებზე მცხოვრებლებისაგან შეკვეთილი წერილების, ამანათების, ბანდეროლების გაგზავნა და ა. შ. სოფლის მშრომელს ხომ ხშირად დიდი დრო ეკარგება იმისათვის, რომ თვითონ შეასრულოს ეს ოპერაციები.

სულ სხვა სურათია მახარაძის რაიონში. აქ ფოსტალიონები სოფლის მცხოვრებლებს დიდი მოცულობის დამატებით მომსახურებას უწევენ. ეს კონკრეტულ შედეგად მოჰყვა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ინიციატივას საფოსტო კავშირგაბმულობის მუშაკთა წახალისების თაობაზე. რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საპრემიო ფონდებიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში წვლი-

[...]

ლობის მუშაკთა საერთო რიცხვის მხოლოდ 7,5 პროცენტი.

შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა, თქვეს ორატორებმა, პირობებს უქმნის საზოგადოებრივი წარმოების შემდგომ ინტენ-

სიფიკაციას, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარებას, სამუშაო დროისა და მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესებას, ადამიანებს მიზნად უსახავს მაღალი საბოლოო შედეგის მიღწევას, ხელს უწყობს შრომითი, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების მომჭირნედ ხარჯვას, შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობებს უქმნის ორგანიზატორულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ნამდვილი კოლექტივიზმის, ურთიერთმომთხოვნელობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების დამკვიდრებას.

პროგრესული მეთოდით მუშაობა განსაზღვრავს როგორც მთელი კოლექტივის, ისე თითოეული მისი წევრის შემოქმედებითი ენერგიისა და შრომითი აქტიურობის გამოვლენის კარგ შესაძლებლობებს, აჩქარებს კვალიფიკაციის ამაღლებასა და ჩვევების შეძენას განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშების მიერ, უზრუნველყოფს პროფესიული პროფილის გაფართოებას, შრომის შინაარსის გადიდებას.

მაგრამ დღესდღეობით რესპუბლიკის საფოსტო კავშირგაბმულობაში ორგანიზებულია მხოლოდ 25 სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადა, რომლებიც სულ 220 კაცს აერთიანებენ. ამასთან მხოლოდ რამდენიმე კოლექტივში ბრიგადის შემადგენლობაში შედიან ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, არადა მხოლოდ ეს ფორმაა ყველაზე პროგრესული.

იმას, თუ რა შედეგებს იძლევა ბრიგადული იჯარა, მოწმობს თბილისის № 80 კავშირგაბმულობის განყოფილების ბრიგადის მაგალითი, რომელსაც ი. რაზმაძე მეთაურობს. ახლებურად მუშაობაზე სანამ გადავიდოდნენ, უბანს ემსახურებოდა 15 კაცი, ახლა ბრიგადის შემადგენლობაშია 12 წევრი. თითოეულის შრომის ნაყოფიერება 27,4 პროცენტით გაიზარდა, საშუალო ხელფასი — 120-დან 150-მანეთამდე. ბოლო 6 თვეში კოლექტივის მიმართ არ გამოთქმულა არც ერთი საჩივარი მოსახლეობისათვის გაზეთების, ჟურნალების, სხვა კორესპონდენციის მიტანის თაობაზე.

კარგი გამოცდილებაა შეძენილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკურ სამმართველოში. აქ ფართოდ იყენებენ პროფესიების შეთავსებას, მუშაობას მომსახურების გაფართოებულ ზონებში, აგრეთვე იმ მუშათა მოვალეობების შესრულებას, რომლებიც დროებით არ არიან ადგილზე. მაგალითად, ფოსტის გადაზიდვით დასაქმებული მძღოლები ასრულებენ თანმხლებთა მოვალეობასაც, ხოლო ფოსტალიონები ამ დროს დამატებით ემსახურებიან მიტანის უბნებს. დღესასწაულების წინა დღეებში ფოსტის გაზრდილი ნაკადის პირობებში მის დამუშავებასა და დახარისხებაში აბამენ მშრომელებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული სხვა სამუ-

[...]

ნაწილეებმა, მნიშვნელოვნად უნდა განვამტკიცოთ მისი საწარმოო ბაზა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ დარგის საწარმოებში მაღალმწარმოებლური ტექნიკის, მათ შორის ავტომა-

ტიზებული მოწყობილობის დანერგვას. ფოსტა ხომ კავშირგაბმულობის სისტემის ყველაზე შრომატევადი ქვეგანაყოფია. აქ ჯერ კიდევ დიდია მძიმე, ხელის შრომის წილი, და ადამიანების ამ საქმეში ჩაბმა ადვილი როდი იქნება, თუ მორალური და მატერიალური წახალისების მწყობრ სისტემასთან ერთად არ დავნერგეთ მექანიზმები და ავტომატები, კომპიუტერები.

უწინარეს ყოვლისა, თქვეს ორატორებმა, უნდა დავაჩქაროთ მსხვილი სახარისხებელი კვანძების, განსაკუთრებით თბილისის რკინიგზასთან არსებული ფოსტამტსა და საგაზეთო-საჟურნალო ექსპედიციის ავტომატიზაცია. პირველი სასიკეთო ძვრები აქ შეინიშნება. მაგალითად, რკინიგზასთან არსებულ ფოსტამტში მოქმედებს წერილების სახარისხებელი მანქანა, რომლის მწარმოებლობა საათში 30 ათასი საფოსტო გზავნილებაა, მაგრამ ეს სულაც არ არის საკმარისი.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მცირე მექანიზაციის საშუალებათა დანერგვა, უნდა შეიქმნას კავშირგაბმულობის კომპლექსურ-მექანიზებული კვანძები. მათი ხვედრითი წილი რესპუბლიკაში ჯერჯერობით მცირეა — სულ 25 პროცენტი, მაშინ როცა საშუალოდ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 55 პროცენტს აღწევს.

აქტივის კრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საფოსტო კავშირგაბმულობის საწარმოებში უხალისოდ ამუშავებენ, ნერგავენ და იყენებენ ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებულ სისტემებს. აქვე ითქვა, რომ უაღრესად საჭიროა დიდ სახარისხებელ კვანძებში გაზეთების დასტებისა და ამანათების გადატანისა და დახარისხებისათვის დაინერგოს სამრეწველო რობოტები, რომლებსაც სულ უფრო ფართოდ იყენებენ ინდუსტრიაში.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე თბილისში განლაგებულ საქართველოს სსრ მთელ რიგ ორგანიზაციებში ცდის წესით დაინერგოს ელექტრონული ფოსტის სისტემა, რომელიც ემყარება ინფორმაციის ოპერატიული გადაცემის თანამედროვე საშუალებებს, მიკროპროცესორულ ტექნიკას, დისპლეებს. ელექტრონული ფოსტის გავრცელება არამარტო გაუადვილებს მუშაობას კავშირგაბმულობის მუშაკებს, არამედ უფრო ეფექტიანსაც გახდის მართვის ორგანოების საქმიანობას.

პროგრესის ცნება გულისხმობს როგორც ტექნიკურ, ისე ორგანიზაციულ სიახლეებს, საქმის დაყენების იმ ფორმებისა და მეთოდების ფართო გამოყენებას, რომლებმაც გაამართლეს თავიანთი დანიშნულება. მაგალითად, საქონელბრუნვის გადიდება, ადამიანებისათვის მეტი მაღალხარისხოვანი დამატებითი მომსახურების გაწევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა

[...]

სხებელთა მუშაობას. ახლა საფოსტო ტვირთის საკონტეინერო გადაზიდვა წარმოებს თბილის-მოსკოვის და თბილის-ლენინგრადის სარკინიგზო მარშრუტებზე, ხოლო ავტომობილებით — მხოლოდ

[...]

„კომუნისტის" ინტერვიუ

დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ლ. ქინქლაძე შეხვდა მის მონაწილეებს და სთხოვა ზოგიერთ მათგანს გამოეთქვათ თავიანთი აზრი საფოსტო მომსახურების საკითხებზე.

● ●

ი. მოლაშვილი,
საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი

ჩვენს რაიონში ნაკლები ყურადღება ეთმობა კავშირგაბმულობის განვითარებას. არადა, საფოსტო კავშირი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების თანამგზავრად გადაიქცა. ამდენად, დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ამ დარგში მოპოვებული შედეგები და სამომავლო პერსპექტივები. ამის ილუსტრაცია რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, პარტიის რაიონულ კომიტეტში შემოსულ განცხადებებსა და წერილებში მოყვანილი ფაქტები: მშრომელები მოითხოვენ საფოსტო და სატელეფონო კავშირით მომსახურების გაუმჯობესებას. სწორედ ეს გახდა ძირითადი საბაბი იმისა, რომ პარტიის რაიო-

[...]

გაზრდები თითქმის არ იყვნენ დასაქმებული რაიონულ კვანძში. პირველი ეტაპის ამოცანად დავისახეთ გაგვეზარდა ამ სფეროში კომკავშირელთა რაოდენობა. ახალგაზრდების მოზიდვით დარგის პარტიული ორგანიზაცია ორი წლის განმავლობაში 70 პროცენტით გაიზარდა.

შემდგომი ეტაპის ამოცანად მივიჩნიეთ კადრების მომზადება, რომელსაც უნდა განესაზღვრა საქმიანობის შემდგომი წარმატების ბედი. ეს ამოცანაც გადაწყდა, ამასთან გაუმჯობესდა აღმზრდელობითი მუშაობა, კოლექტივში შეიქმნა ჯანსაღი მუშაობის ატმოსფერო. ყოველივე ამან გამოაცოცხლა კავშირგაბმულობის მუშაკთა საქმიანობა, გააუმჯობესა რაიონული კვანძის სამეურნეო მაჩვენებლები. კვანძმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვა 1983 წელს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

1984 წლის კვარტალური შედეგების მიხედვით კვანძის კოლექტივი სამჯერ დაჯილდოვდა საქართველოს სსრ კავშირგაბმუ-

[...]

რებისათვის რაიონში საგრძნობლად გაიზარდა კავშირგაბმულობის განყოფილებათა რაოდენობა. შარშან საფოსტო კავშირის მუშაკებმა სატარიფო შემოსავლის გეგმა შეასრულეს 104,1 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა 104,4 პროცენტით.

გ. გელაშვილი,
თბილისის ფოსტამტის უფროსი

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც რესპუბლიკის მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საფოსტო კავშირით მომსახურების მდგომარეობას და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს მიეძღვნა, თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით მეტად აქტუალურია. აქტივზე წამოჭრილი საკითხები, პრობლემები, მართლაც რომ, საყურადღებოა და დროული. მათ უთუოდ გავითვალისწინებთ ჩვენს მუშაობაში.

თბილისის ფოსტამტის კოლექტივი ყოველდღიურად ამუშავებს დაახლოებით ნახევარ მილიონ პერიოდულ გამოცემას, 120 ათას

[...]

რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესა მუშაობის ხარისხი, მომსახურების კულტურა.

ჩვენი მუშაობის ძირითადი მიზანი გახლავთ ის, რომ ყოველი ოჯახი კმაყოფილი იყოს კავშირგაბმულობის განყოფილების მუშაკთა მომსახურებით, მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ კავშირგაბმულობის განყოფილებებში დაგვიანებით ღებულობენ პერიოდულ გაზეთებს, რაც მუშაობაში იწვევს იერიშობანას, კონტროლის შესუსტებას. ჩვენს საქმიანობაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საწარმოო ფართობის ნაკლებობა, რის გამოც ძნელი ხდება საწარმოო პროცესების თანამედროვე მექანიზაციითა და ავტომატიზაციით უზრუნველყოფა. ამ მხრივ სათანადო ღონისძიებანი განახორციელეს და მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწიეს პარტიის საქარხნო, პირველი მაისის, 26 კომისრის რაიკომებმა, მაგრამ საბურთალოს, ორჯონიკიძის, ოქტომბრის, კიროვის რაიონებში ამ მიმართულებით ბევრი რამ არის გასაკეთე-

[...]

3 ივნისი ■ საქდესი იუწყება

მრთიანობისა და მტკიცე მეგობრობის ზეიმი

საზღვარგარეთის ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი კვლავ აშუქებენ საბჭოთა კავშირში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის გ. ჰუსაკის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შედეგებს.

საპატიო სტუმრის ვიზიტი, კრემლში გამართული მოლაპარაკება, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის დოკუმენტის ხელმოწერა, — ყოველივე ეს ნათლად და დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის განვითარებაში, სოციალიზმის ქვეყნების ხალხებსა და მოძმე პარტიებს შორის მეგობრობისა და მოკავშირული ურთიერთობის განმტკიცებაში კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოები, რადიო, ტელევიზია, პრესა აღნიშნავენ: საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ერთად, როგორც ეს თავის სიტყვაში განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, თანამიმდევრულად ილვწიან, რათა შეჩერდეს იმპერიალიზმის მიერ დაძაბულობის გამწვავების პროცესი, რომელსაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ბირთვული კონფლიქტი და ილვწიან აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად.

ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო" წერს, რომ რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში საჭიროა კვლავაც განვამტკიცოთ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრი-

[...]

როგორც სამართლიანად აღინიშნა საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვაში, და კარგად უნდა გავისარჯოთ იმისათვის, რომ მარჯვედ გამოვიყენოთ იგი.

კუბის „გრანმა" წერს, რომ საერთაშორისო ვითარება კვლავ რთული და საშიშია. ასეთ პირობებში სულ უფრო აუცილებე-

[...]

რმა ბოლო დროს მთელი რიგი კონკრეტული მშვიდობისმოყვარული ინიციატივები წამოაყენა. დროა, ხაზს უსვამს გაზეთი, ამერიკის მხარემაც კონკრეტული მოქმედების ენაზე აამეტყველოს თავისი განცხადებანი, რომ მზად არის ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთგაგების გაუმჯობესებას.

იტალიის ანსას საინფორმაციო სააგენტო თავის ცნობაში საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკების შესახებ გამოყოფს საბჭოთა წინადადებას ბირთვულ და კოსმოსურ შეიარაღებაზე მორატორიუმის დაუყოვნებლივ დაწესების შესახებ. ასეთი მორატორიუმი, ნათქვამია სააგენტოს განცხადებაში, ამთავითვე შეუწყობდა ხელს დედამიწაზე გამაღებული შეიარაღების შეჩერებას და აღკვეთდა კოსმოსში მის გავრცელებას. ძალების არსებული დაახლოებითი წონასწორობის პირობებში იგი არავის არ მიანიჭებდა უპირატესობას და მთლიანად შეესაბამებოდა თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპს. საბჭოთა

[...]

რი ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე თანამშრომლობა, აღნიშნავს მონღოლეთის „უნენი", უზრუნველყოფს მოძმე ქვეყნების ხათელ პერსპექტივას და მომავლის მტკიცე რწმენას. მაგრამ ეს სიმდიდრე მულაც არ ძევს ზედაპირზე,

ნაწილ, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაზე. სსრ კავშირი, აღნიშნავს იგი, ილვწის, რათა დააბრუნოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში, დაძაბულობის შენელებისა და ორმხრივ ხელსაყრელი თანამშრომლობის გზაზე. სსრ კავში-

[...]

ფოტოფაქტი

ნიკარაგუელი ახალგაზრდობა: ჟამი წვრთნისა

შრომა და ბრძოლა ნიკარაგუელი ახალგაზრდობის დღევანდელი ცხოვრების მთავარი შინაარსია.

ნიკარაგუელი ხალხი ურთულეს პირობებში სძლევს თავის ქვეყანაში სომოსის დიქტატურის პარპაშის შედეგებს. მაგრამ მშვიდობიან მშენებლობას ყოველნაირად უშლიან ხელს სომოსელთა კონტრრევოლუციური ბანდები.

ასეთ პირობებში ნიკარაგუის მთავრობამ ხალხს მოუწოდა განამტკიცონ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, თავდადებული შრომა დაუპირისპირონ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურ სანქციებს. და იმათ შორის, ვინც პირველი გამოეხმაურა მოწოდებას, არიან ახალგაზრდა ნიკარაგუელები.

სურათზე: რევოლუციის ნორჩი დამცველი; ნიკარაგუელი სტუდენტების მიტინგი, რომელიც შრომითი სემესტრის დამთავრებას მიეძღვნა.

მტი-ადნ-საქდესის ფოტო.

ფართუ... ბირთვულ-რაკეტული იარაღის განლაგება.

კვლავ იჩენს თავს დასავლეთ გერმანიის რევანშიზმი: ოკეანისგაღმიდან აშკარა შეგულიანებით შედეგად საიჭვოს ხდიან მოკავშირე სახელმწიფოების იალტისა და პოტსდამის კონფერენციათა გადაწყვეტილებებს, ომისშემდგომი განვითარების შედეგებს. ასეთ პირობებში, განაგრძობს სააგენტო, საბჭოთა კავშირი, ევროპის სოციალისტური ქვეყნები იძულებული არიან განამტკიცონ ვარშავის ხელშეკრულება, რომელიც აი უკვე სამ ათწლეულზე მეტია ანიჭებს მათ უშიშროებას, მშვიდობის პირობებში ცხოვრებისა და შრომის შესაძლებლობას.

შეფას გადაწყვეტილება

ჟენევა.

ინგლისის საფეხბურთო კლუბებს გაურკვეველი დროით ჩამოერთვათ ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება. ბრიუსელის სტადიონზე ინგლისისა და იტალიის საფეხბურთო კლუბების „ლივერპულისა" და „იუვენტუსის" მატჩის დაწყების წინ მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებული ყველა მასალა უეფას დისციპლინურ კომისიას გადაეცემა შესაბამისი გადაწყვეტილებების გამოსატანად". ეს ნათქვამია ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის აქ გავრცელებულ განცხადებაში, რომლის სხდომაც გასულ კვირას გაიმართა შვეიცარიის ქალაქ ბაზელში. გარდა ამისა, აღნიშნულია დოკუმენტში, განხორციელდება ახალი ღონისძიებანი სტადიონებზე უშიშროების გასაძლიერებლად.

როგორც ცნობილია, ბრიუსელის სტადიონზე ნამდვილი ბრძოლა გაიმართა ბრიტანეთის „ლივერპულის" გულშემატკივრებსა და მილანის „იუვენტუსის" ქომაგებს შორის.

ლონდონი.

განმარტავდა რა უეფას გადაწყვეტილებას, ბრიტანეთის საფეხბურთო ასოციაციის მდივანმა ტედ კროკერმა სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა: „პირადად მე ბრიუსელის სტადიონზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ საერთოდ აღარ მინდა, რომ ინგლისის კლუბები მონაწილეობდნენ ფეხბურთში ევროპის შეჯიბრებებში. უწინარეს ყოვლისა შინ უნდა დავამყაროთ წესრიგი".

დღეს გაზეთი „დეილი მეილი" აღნიშნავს, რომ „ინგლისის ფეხბურთი უნდა განიწმინდოს ხულიგნობისაგან, რომელმაც ჩირქი მოსცხო მას მსოფლიოს თვალში".

დიდი ბრიტანეთის გენერა-

[...]

ა შ შ

სიბრძნეა საჭირო

ნიუ-იორკი. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის დარგში რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკა მკაცრად გააკრიტიკა თვალსაჩინო ამერიკელმა მოღვაწემ, დემოკრატიული პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტო-

[...]

უბლიკის ქალაქ ბიტბურგის სამხედრო სასაფლაოზე ამასწინანდელი მისვლის ნაცვლად, სადაც დაკრძალული არიან ჰიტლერული ვერმახტის ჯარისკაცები და ესესელი კაცის მკვლელები. ხაზი გაუსვა ფერარომ, პრეზიდენტ რეიგანს შეეძლო ესარგებლა შესაძლებლობით, რათა სხვა თარი-

[...]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

სსრ კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში წვლილისათვის სსრ კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექცია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი.
1985 წლის 30 მაისი.

დიდი ბჭობა

ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა სწავლულები თბილისში

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს გამსვლელი სხდომა. სხდომაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის წარმომადგენლები, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელი მუშაკები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ვ. ი. კრუტოვმა თქვა:

— ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა მიერ შარშან გაწეული კვლევის მეცნიერული სიახლე გამოიხატა 19 ათასზე მეტი დადებითი გადაწყვეტილებით გამოგონებათა საავტორო მოწმობების გაცემის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის წლებში ჩვენი ქართველი კოლეგების ნამუშევრები დაინერგა ქვეყნის ბევრ უდიდეს მანქანათმშენებელ და მეტალურგიულ საწარმოში, ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე. სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების ეკონომიკურმა ეფექტმა მარტო შარშან დაახლოებით 17 მილიონი მანეთი შეადგინა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის, დაგროვილი პოტენციალის უკეთ გამოყენების მთავარ სტრატეგიულ ბერკეტად დასახა და წინა პლანზე დააყენა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარება. გადაწყდა, მკვეთრად გაფართოვდეს საწარმოებში დანერგვის ჯგუფების შექმნის პრაქტიკა, სადაც გაერთიანებული იქნებიან უმაღლესი სასწავლებლებისა და სამრეწველო წარმოების მუშაკები. ამაში დიდად გამოგვადგება გამოცდილება, რომელიც მაგალითად, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტშია შექმნილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე.

გაზეთის საიუბილეო საღამო

ბევრი თაობის წარმომადგენელს ნახავდით გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ 65 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე. ქალაქის ახალგაზრდულ კლუბ „ამირანში“ შეიკრიბნენ კორესპონდენტები, რომლებიც ოთხი ათწლეულის განმავლობაში ქმნიდნენ კოლექტივის შემოქმედებით და ზნეობრივ ტრადიციებს.

გაზეთ „მოლოდოი პროლეტარის“ პირველი ნომერი — ასე ეწოდებოდა მაშინ რესპუბლიკის მოწინავე მუშა-ახალგაზრდობის ორგანოს — გამოვიდა 1920 წლის 31 მაისს. ივნისში კი სტამბა დაარბიეს მენშევიკებმა და გაზეთი აკრძალეს. მაგრამ საბჭოთა საქართველოს ცხოვრების პირველ დღეებშივე იგი კვლავ ჩადგა ბედნიერი, მომავლის მშენებელთა რიგებში.

იმ დღეების ხსოვნას ინახავენ ძველი გაზეთები და საარქივო მასალები, რომლებსაც ეცნობიან კორესპონდენტთა ახალ-ახალი თაობები. საღამოზე თავიანთ მოგონებებში მომდევნო წლების შესახებ უამბეს დამსწრეთ იმათ, ვინც რედაქციიდან წავიდა ფრონტზე, ვინც 1946 წელს ამზადებდა „მოლოდოი სტალინეცის“ პირველ ომისშემდგომ ნომერს, ქმნიდა მოგვიანებით „მოლოდიოჟ გრუზიის“ — იმ გაზეთის პროფესიულ სახეს, რომელიც დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

კოლექტივის ახლანდელ წარმომადგენლებს საიუბილეო საღამოზე გადასცეს რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ გულითადად მიულოცა იუბილე გაზეთის ყოფილ და ახლანდელ მუშაკებს, მათი მასალების გმირებს, რომლებიც მოვიდნენ სადღესასწაულო საღამოზე.



კ. ლორთქიფანიძე 80 წლისაა

დიდი ჯილდო და სიხარული

ინტერვიუ ნომერში

გამოჩენილ ქართველ მწერალს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს გუშინ ქუთაისში ბინაზე სწორედ მაშინ მივაკითხეთ, როცა მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა — ღვაწლმოსილ და ამაგდარ მწერალს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. გულითადად მივულოცეთ მას მთავრობის მაღალი ჯილდო და ვთხოვეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის გაეზიარებინა თავისი გულის ფიქრი.

— მე უკვე ოთხმოცი წელი შემისრულდა, — თქვა მან, — მწერლობაში ცოტად თუ ბევრად გამოცდილი, ძირმოდგმული კაცი ვარ, მაგრამ აგერ ჩემს ცხოვრებაში დადგა ისეთი წუთი, როცა ქართული ანბანის 33 ასო-ნიშანი უკვე აღარ მყოფნის იმ სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად, რომელშიც მე ახლა ვიმყოფები.

სიხარული? ბედნიერება? ქახუკური მღელვარება?

არა, ყველაფერი ეს ცოტაა ჩემი გულის ფორიაქის გადმოსაცემად. დიდ და უღრმეს, უგულითადეს მადლობას მოვახსენებ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ჩემი მოკრძალებული შრომის ესოდენი დაფასებისათვის.

ჩემთვის, როგორც დიდი სამამულო ომის ვეტერანისათვის, ეს უდიდესი ჯილდო ორმაგად სასიხარულოა, რადგან იგი მერგო სწორედ იმ დღეებში, როდესაც მთელმა ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებთან ერთად დიდი ზეიმით აღნიშნა ფაშიზმზე გამარჯვების ორმოცი წლისთავი.

არ ვიცი რამდენ ხანს დამაცლის სიცოცხლეს ჩემს ზურგს უკან მომდგარი ცელიანი კაცი! მაგრამ ძალიან ვეცდები ისე არ წავიდე ამ ქვეყნიდან, ერთი საგალობელი არ ვუთხრა ახალი ქვეყნის მშენებელ საბჭოთა ადამიანს და პირველ ყოვლისა, ეს ვფიქრობ აისახოს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე, რადგან აგერ ბარე 50 წელზე მეტია, რაც აქტიურად ვთანამშრომლობ ამ გაზეთში და სწორედ იგი მეხმარება გზა გავიკვალო მკითხველთა გულისაკენ.

ხუმრობა იქით იყოს და სიკვდილი ცოტა ხანს კი არა, კარგახანს მოიცდის, რადგან მწერლის მთელი სიცოცხლე იმის ნათელი მაგალითია, როგორ უნდა ემსახუროს მშრომელ ხალხს, როგორ უნდა ამოუდგე ცხოვრებას მხარში შემოქმედებითი შრომით, როგორ უნდა ეხმარებოდე ადამიანებს უკეთესი და ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში, ითბებოდე და იწვოდე მათ ბედნიერებასა და მწუხარებაში.

მწერლის ბოლოდროინდელი მხატვრული ნაწარმოებები და პუბლიცისტური ნარკვევები — რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ... [illegible] თუნდაც „რა მოხდა აბაშაში“, „მთას დაუბრუნდა [illegible]“ — რაც იმის საიმედო გარანტიაა, რომ მწერალი კვლავ და კვლავ არა ერთი და ორი ცხოვრების სინამდვილით ნაკარნახევი ნაწარმოებით გაგვახარებს და აქტიურ წვლილს შეიტანს საბჭოთა ადამიანის ზნეობრივი და მორალური სისპეტაკის დამკვიდრებასა და განვითარებაში.

დიახ, ჩვენი მკითხველი კვლავაც ელის ბატონ კონსტანტინესაგან ახალი ქვეყნის მშენებელი საბჭოთა ადამიანისადმი მიძღვნილ საგალობლებს.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქება ხალხის მწერალზე

ოთხმოცი წლის გრძელ გზაზე კაცმა ერთხელ მაინც უნდა შეასვენოს მუხლი და გონი, რომ მოხედოს განვლილ მანძილს და დასაჯამებლად გაიაზროს მის მიერ ქმნილი საქმე. მაგრამ იმოვის კი საამისოდ დროს იმ არმიის ჯარისკაცი, რომელიც გამუდმებით წინ მიიწევს და ახალ-ახალ მიჯნებზე გადის? როდისღა უნდა შეისვენოს და მოიხედოს მან უკან, თუ საერთო მწყობრში ნაბიჯის ოდნავი შენელებაც კი სვლის რიტმში შეიძლება დისონანსად შევიდეს?!

ეპოქამ სწორედ ასეთი ადამიანის ბედი არგუნა კონსტანტინე ლორთქიფანიძეს. მისი მრავლისმომცველი მხატვრული სივრცე და საოცრად ტევადი მხატვრული დრო შინაგანად ზღვრულად დამუხტული გამოდგა. მათი ამგვარი ხასიათი განაპირობა ჩვენი ეპოქის ტემპმა, ჩვენს ცხოვრებაში მომხდარმა ძირეულმა სოციალურ-პოლიტიკურმა და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურმა ცვლილებებმა, გართულებული ცხოვრების ღირსეული განხატოვნების ამოცანამ.

როგორც მხატვარი და მოქალაქე, იგი მოჰყვა საუკუნის დამდეგის რევოლუციურ ქარტეხილს, ახალი ყოფის დამკვიდრებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლას და, ამ საუკუნის დასასრულამდე მოსული, ბოლომდე ერთგული დარჩა პირველსავე სტრიქონებში გაცხადებული საკუთარი მხატვრულ-პოლიტიკური კრედოსი. მას ოციანი წლების პირველი კომკავშირელის — ბიჭოია ფურცხვანიძისა და პირველი დედის — გაიანე მაისურაძის თანამედროვეს — უნდა გაევლო როგორც სიხარულით განათებული, ასევე სიძნელეებით დამძიმებული ცხოვრების გზა, რათა 70-80-იანი წლების თანამედროვე გმირთან მოსულიყო. ამ გზაზე იგი კობა ჩოხელის პირველი კომუნის ახალი გლეხიც ყოფილა და მექი ვაშაკიძის ბედის მოზიარეც, ჯარისკაცის ფარაჯაც ჩაუცვამს და მამია ჯაიანის გვერდითაც მდგარა, ალაზნის ბარაქიანი ველიც ბევრჯერ გაუზომავს თვალით თუ მუხლით და აბაშის ჭაობებიც ტალახიც საკმაოდ უზელია, პერმშიც აჰყოლია მამა-პაპათა კერასთან მიბრუნებულ ნიკა ჭავჭაძეს და მათიკო არაბიძის ტრაგედიის უშუალო მხილველიც ყოფილა...

და რაც კი უხილავს მის გონებას, რაც კი დაუხატავს მის კალამს, ყველაფერი ჩვენი ეპოქის დიდ სიმართლეს არის ნაზიარები.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე თანამედროვეობის მწერალია. მთელი მისი მხატვრული სამყარო დასახლებულია მეოცე საუკუნის ადამიანებით, გაჟღენთილია ჩვენი ეპოქის სულითა და სურნელით. მწერლის ინტერესი თანამედროვეობისადმი, დროის ხასიათისა და კანონზომიერებების მაღალხატოვანი ამოხსნისადმი ისე დიდია, რომ, ვთქვათ, ვერც ერთმა ფრიად ყურადსაღებმა ისტორიულმა თემამაც კი, რომელთა მიმართ იგი პიროვნულად არასოდეს ყოფილა გულგრილი, ვერ აცდუნა და თუნდაც დროებით ვერ შემოაბრუნა მისი მწერლური ყურადღება.

ეს განსაკუთრებით ხაზგასასმელი და ფასეულია, რადგან ამით გამოხატულია მწერლის პირდაპირ ჟინად ქცეული სწრაფვა — არასოდეს მოსწყდეს დროის მაჯისცემას, თავისი ხალხისა და ქვეყნის დიდ საქმეებს, რომლებშიც პრაქტიკულ ხორცშესხმას პოულობს მათი დღევანდელი თუ ხვალინდელი საარსებო ინტერესები.

აქ საინტერესოა კ. ლორთქიფანიძის მხატვრულ ხილვით სისტემად ჩამოყალიბებული მწერლური პრაქტიკა, როგორც თავისთავადი ფენომენი. მისი რომანები, მოთხრობები, ნოველები, ნარკვევები თუ პუბლიცისტიკა თანამედროვე ქართული ცხოვრების საეტაპო მოვლენათა თავისებურ, მხატვრულ ისტორიად აღიქმება. ამგვარად ცნაურდება მის შემოქმედებაში ოციანი თუ ოცდაათიანი წლები, ომის დრო და ომისშემდგომი პერიოდი თუ თანამედროვე ეტაპი.

თუ თვალს გავადევნებთ კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებას ამ ეტაპებზე, ნათელი გახდება სინამდვილის მწერლისეული აღქმის ევოლუციაც და მისი გმირების გალერეის ზრდა-შევსების თვალსაჩინო ტენდენციაც, მწერლურ ინტერესთა საოცარი გაფართოებაც და ესთეტიკური იდეალის სფეროში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებიც.

ოციანი წლების რევოლუციურმა რომანტიკამ, ახალი ზნეობრივი ნორმების ძიებამ თუ სოციალურ-ფსიქიკური ყოფის ტენდენციებმა მკვეთრი ფერი შეიძინეს „პირველ კომკავშირელში“, „ხავსში“, „პირველ დედაში“ თუ „სიტყვა-ღმერთში“. ამ დროს მისი ახალგაზრდა გმირი ეპოქის სულისკვეთებას გადმოსცემდა და, ინტენსიური ძიების წილ, აქტიურ დამამკვიდრებელ ძალადაც გვევლინებოდა. მკვიდრების ეს პათოსი შეიცავდა ხასიათის სიმტკიცესაც, კლასობრივ სისასტიკესაც და ჰუმანისტურ ასპექტსაც.

ოცდაათიანი წლების ჩვენი ერის დიდი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მდიდარი, მრავალფეროვანი პრაქტიკა განსხეულდა ტევადი ემოციური ძალის ისეთ შესანიშნავ სახეებში, როგორიც „კოლხეთის ცისკრისა“ და „ახალი გლეხების“ გმირები და პერსონაჟებია. ვაშაკიძეების, ხაზარაძეების, ჩოხელების პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება მათში წარმოსახულია როგორც დიად პროგრესულ მიზანს დაქვემდებარებული ეპოქის წამყვანი ძალების დინამიკა, ფანატიკური პროგრესული რწმენის ზეიმი, მოწინავე იდეათა მატერიალური ძალად ქცევის ლოგიკა. სოციალურ-კლასობრივ წინააღმდეგობათა ვითარებაში ადამიანის სრულყოფილ სულიერ ფენომენად ორგანიზების პროცესი აქ გახსნილია, როგორც ახალი ეპოქის მოუცილებელი ისტორიული კანონზომიერება. ამ თვალსაზრისით „კოლხეთის ცისკარი“, იმ დროსვე შექმნილ ცნობილ ქართულ რომანებთან — „მთვარის მოტაცებასა“ და „გვადი ბიგვასთან“ ერთად, ქმნის 30-იანი წლების ქართულ სოფელში განხორციელებული ეპოქური ხასიათის სოციალური ძვრების, ადამიანთა სულიერი გარდაქმნის მდიდარი პროცესის გამხსნელ ნათელ სურათს და ერთ-ერთ თავფურცლად შედის ქართული საბჭოთა რომანისტიკის ისტორიაში.

დიდი სამამულო ომის, ამ ომში მონაწილე თოფიანი კაცის თემა კი დღემდე არ ასვენებს კ. ლორთქიფანიძის გონებასა და კალამს. ომის წლებში შექმნილ საფრონტო ნარკვევებში თუ ომისშემდგომ დაწერილ რომანებსა და ნოველებში მხატვარმა კიდევ უფრო გააღრმავა თავისი დიალოგი სულ სხვა მდგომარეობაში მოხვედრილ თანამედროვესთან. ახლა გმირის მთავარი საზრუნავი იყო არა იმდენად მკვიდრება, რამდენადაც უკვე დამკვიდრებულის დაცვა გაღებული სისხლისა და სწორუპოვარი თავგანწირვის ფასად. ისტორიული მისიის ამ მონაცვლეობის შედეგად შექმნილმა ახალმა არსმა სხვა თვისებრივი მიმართულება და დატვირთვა მისცა კ. ლორთქიფანიძის ლიტერატურულ გმირს. ასე დაიბადა მისი ლადო ვაშალომიძე და გიორგი მუმლაძე, გოგია ბაზლიძე და იონა მეზუკე, გიორგი ნადიბაიძე თუ „მოვედ სინათლის“ რაინდი გმირები. მწერლის მიერ უშუალოდ ფრონტზე შეძენილი გამოცდილება და დაგროვილი მასალა იმდენად აქტიურად დამმუხტველი ფაქტორი გამოდგა, რომ ომის ადამიანის თემა შინაგან იმპულსად ედება კ. ლორთქიფანიძის ბევრ ახალ ნაწარმოებსაც. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ კ. ლორთქიფანიძეს ამ თემასთან მისვლის თავისი ასპექტი აქვს. იგი უფრო ფრონტის ადამიანის ფსიქოლოგიური მომართულობის ამომხსნელია, ვიდრე ბატალური სცენების მხატვარი. მას აინტერესებს ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში მოხვედრილი მეომრის ფსიქოლოგიური განწყობა, მისი კონკრეტული სულიერი მდგომარეობა, მოვლენისადმი მისეული დამოკიდებულება. ამიტომაც განსაკუთრებით მგრძნობიარენი, სწრაფი რეაგირებისა და ემოციურნი არიან მისი გმირები, რომელთათვისაც უცხოა ყოყმანიც და ანგარიშმიუცემელი ავანტიურიზმიც და რომელთა თავდადება ემკვიდრება მიზნის სიცხადეს, გაცნობიერებულ პატრიოტიზმს. თოფიანი კაცის თემა კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ყალიბდება არა მარტო მკვეთრ პოლიტიკურ-სოციალურ და ეროვნულ-პატრიოტულ, არამედ ჰუმანისტურ-გამაფრთხილებელ კონცეფციადაც და, ამდენად, აქტუალურ ჟღერადობას იძენს მშვიდობისათვის თანამედროვე ბრძოლის ვითარებაში.

არანაკლები სიმკვეთრით, მაგრამ ახალი ნიუანსობრივი გამჭვალულობით აღსაქმელი გამოდგა კონსტანტინე ლორთქიფანიძისათვის სამოცი-სამოცდაათიანი წლები, როცა დღის წესრიგში დადგა ეროვნული ცხოვრების ბევრი აქტუალური, საარსებო პრობლემა როგორც პოლიტიკურ და სამეურნეო, ასევე ზნეობრივ ყოფის სფეროში. აქ ოდნავაც არ შენელებულა ცხოვრების დინებაში მხატვრის მონაწილეობის პათოსი და რიტმი. პირიქით, მათ ახალი ხარისხი შეიძინეს, ბევრ შემთხვევაში უფრო მიზანსწრაფულნი და ზღვრულად დატვირთულნი აღმოჩნდნენ. კ. ლორთქიფანიძის ამ პერიოდის მწერლურ პრაქტიკაში გამუდმებით ენაცვლება ერთმანეთს ორი პლანი: პირველი, გმირი სადღეისო აქტუალური პრობლემების შუქზე, როგორც ამ პრობლემათა სოციალურ თუ ზნეობრივ ასპექტში დამსმელი და გადამჭრელი; და მეორე, მიბრუნება ნაცნობი თემებისა თუ სახეებისაკენ, როგორც დიდი გამოცდილების შედეგად მათი ახლებური გააზრება-კორექტირება, განვრცობა-დახვეწა. და იბადება არა მარტო განსაკუთრებული შემოქმედი ძალის შემცველი, საოცრად კონდენსირებული ფრონტული ნოველებისა და ზნეობრივ-ეთიკურ კრედოდ გაცხადებული მოთხრობების მთელი ციკლები, არამედ იქმნება ცხოვრების დუღილში წამოჭრილი მწვავე პრობლემებისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური წერილების მთელი წყებაც და ცნობილი კინოფილმების სცენარებიც. მკითხველის ცნობიერებაში შემოდიან უკვე ახალი გმირები — ჯაბა გურგენიძე („გაუმარჯოს დონკიხოტს“), გური არდაშელია („სიკვდილი ცოტას მოიცდის“), ბოჭია ფურცხვანიძე („სიტყვა იყო ღმერთი“), „ქართული სოფლის ქრონიკების“ მოუღლელი მაძიებელი და ძლიერი ადამიანები; ასე კვლავ შეახსენებენ ხოლმე საკუთარ თავს მკითხველს ახალი ადამიანური თვისებებით გამდიდრებულნი „პირველი დედის“, „ფოტოგრაფის“, „კოლხეთის ცისკრის“ თუ „მოხუცი მებადურის“ პერსონაჟები.

შოთა რუსთაველის პრემიით აღნიშნულ კ. ლორთქიფანიძის მოთხრობებში თანამედროვე ადამიანი იმგვარად არის დაყენებული მახლობელ თუ შორეულ სამიზნეზე, რომ მის სახეში ცნაურდება ჩვენი ყოფის წამყვანი მოტივები. მხატვარი დაბეჯითებით გამოჰკვეთს თანამედროვის რთულ სახეს და ამ შემოქმედებით პროცესში შუქ-ჩრდილის მონაცვლეობით ყოველთვის იდეალურს, პროგრესულს ამკვიდრებს.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, თუ როგორ ფეხდაფეხ მიჰყვება კ. ლორთქიფანიძე თანამედროვე ეპოქას, როგორ შთამბეჭდავად ასახავდა იგი ხალხის ცხოვრებას მისი განვითარების ყოველ ცალკე ეტაპზე. მაგრამ თავისი ცხოვრების მიმწუხრის ჟამს, თითქოს ამ ჩვევად ქცეული საკუთარი საინტერესო პრაქტიკით მონაპოვრის ორიგინალური შეჯამება სცადაო, შექმნა ფართო ტილო „ნატვრის თვალი“, სადაც ახლა უკვე ერთ ყდაში მოქცეულ ეპოპეას საგნად აქცია მთელი საბჭოური ცხოვრების ისტორია. ოცდაათი წელიწადი შეალია ამ რომანზე მუშაობას კ. ლორთქიფანიძემ. ეს იყო ახალი ეპიკური ფორმის ძიებისა და მხატვრულ კონცეფციაში გარკვეულ კორექტივთა შეტანის წლებიც, მეტად მწვავე აქტუალურ თემებზე გადართვისა და ასევე ახალი მოტივების მოძიების წლებიც.

თქვენ ეს რომანი გაგახსენებთ ოცი-ოცდაათიანი წლების მძაფრი კლასობრივი ბრძოლის პერიპეტიებსაც, ომის პერიოდის ადამიანთა ღრმა ფსიქოლოგიურ განცდებსა და აუტანელ წამებასაც, ომისშემდგომი სოფლის რთულ ვითარებასაც და გიჩვენებთ მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუარესებასა თუ მისი გაჯანსაღებისათვის ბრძოლის რთულ პროცესსაც.

რომანის სიუჟეტური და კომპოზიციური წყობა განპირობებულია მისი ამ ფართომოცვითი ხასიათით. ეს არის ნადიბაიძეების, უგრეხელიძეების, ყანჩაშვილების, ჩოხელების, ყაბანაშვილების, არაბიძეებისა და რაინაულების ერთ ისტორიად შეკრული, ნახევარ საუკუნეზე უწყვეტ ჯაჭვად გაბმული ამბავი. იგი იწყება ოციანი წლების გლეხკაცის ოცნებით ბედნიერ მერმისზე, უკეთ მოწყობილ ცხოვრებაზე, ადამიანური ღირსების ზეიმზე და მთავრდება ჩვენი დღეების დიდი სიმართლით, რომელმაც პრაქტიკულ რეალობას უნდა აზიაროს მარადი ოცნება.

ამ თავისებურ პროლოგსა და ეპილოგს შორის ექცევა ერის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, აღსავსე აღტაცებითა და მწუხარებით, სიხარულითა თუ ადამიანური ტრაგედიებით, სიყვარულითა თუ სიძულვილით, გმირული პათოსით თუ შეცდომებით. ამდენად რთულია რომანის კანვა, რომელზეც ბევრი სხვადასხვა ბედის კონტრასტირებით ხორციელდება ცხოვრების რთული შინაარსის გახსნა, მისი განვითარების მთავარი ტენდენციების ამოხსნა-ჩვენება.

რომანი თვალსაჩინო ადგილს იჭერს ჩვენი ხალხის დღევანდელ უკომპრომისო ბრძოლაში თანამედროვე ადამიანის მაღალი ზნეობის დამკვიდრებისა და პოლიტიკურ თუ სამეურნეო ცხოვრებაში სიახლეთა გაბედული განხორციელებისათვის. მასში არა მარტო აირეკლება მასების ინიციატივაც და ახალი ტიპის ხელმძღვანელის პროფესიონალიზმიც, ვლინდება მწერლისეული ჰუმანისტური კონცეფციაც და ხორციელდება პრობლემებთან გულახდილი, გაბედული მისვლაც, არამედ ამასთანავე იგი, ისევე როგორც ფართო რეზონანსის „ქართული სოფლის ქრონიკები“, მათი აქტიური ზემოქმედი ძალის წყალობით, თვით იქცევა მაღალი მორალის, გაბედული სიახლეების, მასების მართვის ახალი მეთოდების დანერგვის თავისებურ მოქმედ ძალად. ამგვარად ხორციელდება მისი მხატვარი პათოსის ჭეშმარიტ სინამდვილედ რეალიზება.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის რეალიზმის ძალა ხალხთან შემოქმედის ცოცხალი კავშირია. ამგვარი კავშირის შინაგანი მოთხოვნილება ბადებს ყოველდღიურ ცხოვრებასთან ორგანული ურთიერთობის აუცილებლობას, მკითხველის განწყობილებათა ზედმიწევნით ცოდნის საჭიროებას.

არ შეიძლება ხალხის გულის მესაიდუმლე, ხალხის ჭეშმარიტი მწერალი იყო და მის ხმას განსაკუთრებულად სათუთი გულისხმიერებით არ ეკიდებოდე.

კ. ლორთქიფანიძის მისამართით ყოველდღე მოდის მკითხველთა ბარათები. მე ვიცნობ მწერლის ფოსტას. იგი ორი რამით არის საინტერესო: ჯერ ერთი, ხალხი გამორჩეული ინტერესით ეკიდება თავისი მხატვრის ყოველ ახალ ნაწარმოებს, ხშირად მის მსაჯულადაც გამოდის; მეორე — ეს ნაწარმოებები გარკვეულ რეაგირებას იწვევენ და აქტიურად ზემოქმედებენ ადამიანთა სულიერ განწყობილებაზე.

ვინ არ სწერს და რას არ სწერს თავის მწერალს. აქ თქვენ იპოვნით ოციანი წლების კომკავშირელის, შემდგომ გამოჩენილი პარტიული მუშაკის მადლობის წერილს იმის გამო, რომ „კოლხეთის ცისკრისა“ თუ „პირველ კომკავშირელში“ მან თავისი ბიოგრაფია, მისი თაობის ისტორია ამოიკითხა; ომის ვეტერანის ოდნავ საყვედურნარევ მონაწერს, მოთხრობაში ჩემი გვარი მთლად ზუსტად ვერ დაგისახელებიაო; თავისი ქვეყნისა და ხალხის ბედზე დაფიქრებული კაცის იმედიან ამონათქვამს, ღმერთმა ქნას, თქვენი მოთხრობის პათოსმა მიტოვებულ მთას დაუბრუნოს მას განრიდებული ადამიანიო; მოსწავლე გოგონას გულწრფელ წუხილს მათიკო არაბაძის მძიმე ბედის გამო; სოფლის მასწავლებლის „შეკვეთას“, ამდენი კარგი ადამიანი დახატეთ, მოდით, სოფლის მასწავლებლის „იდეალური“ ტიპიც შექმენითო; უკმაყოფილო თუ სკეფსისით შეპყრობილთა შხამნარევ სტრიქონებსაც — ტყუილად გარჯილხართ, მაგ ექსპერიმენტებისაგან არაფერი გამოგივათო და ა. შ.

ასეთ, ხშირად საწინააღმდეგო განწყობილებების ბარათებს ყოველთვის დინჯად, ზედმეტი ემოციების გარეშე აღიქვამს ხოადრესატი, რადგან მან იცის, რომ მათში ისევე, როგორც ყოველი მიწისქვეშა ბიძგი სეისმურ ხელსაწყოში, ზუსტად აღინუსხება მასობრივი მკითხველის განწყობილება, რომლის უგულებელყოფაც ხალხის მწერლისათვის ყველა შემთხვევაში დაუშვებელია. ბედნიერია შემოქმედი, რომელსაც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე თან მოჰყვება ხალხის ასეთი, მამაპულსირებელი თუ წამქეზებელი, გამაფრთხილებელი თუ შემოძახებითი ხმა. ამ ხმასვე ემორჩილება იგი, როდესაც გარკვეული კორექტივი შეაქვს ხოლმე თავის ადრინდელ კონცეფციასა თუ სახეობრივ სისტემაში.

საერთოდ, მისი ხელიდან შემთხვევით არაფერი გამოდის, და თუ იგი ხშირად მაინც მიუბრუნდება უკვე თითოეული ჩვენგანისათვის ნაცნობ სახეს ან პასაჟს, იმიტომ კი არა, რომ თავისთავად იგი დასაწუნია, არამედ, უპირველესად, იმიტომ, რომ მისი სმენა დროში დაიჭერს ხოლმე წინანდელი სიტუაციისადმი მისასადაგებელ ახალ ნიუანსს. ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად მოწმენი ვყოფილვართ იმისა, თუ როგორ მუშაობს კ. ლორთქიფანიძე ფრაზის, პასაჟის, სახის დახვეწაზე, რა სასტიკ გამოცდას უწყობს ხოლმე საკუთარ თავს, რათა ბეწვის ხიდი ნაბიჯშეუშლელად გაიაროს. ამას იგი აღწევს სწორედ თავისი მახვილი თვალის, გონების, სმენის შედეგად, მკითხველის მხრივ მხარდაჭერისა და აღიარების შედეგად.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედების სახალხო ხასიათი განპირობებულია მაღალი ოსტატობის რანგში აყვანილი მისი მოქალაქეობრივი ჟღერადობით, დღევანდელობის გამახვილებული გრძნობით, აქტიურ მკვიდრებად პათოსს დაქვემდებარებული იმ გულწრფელობითა და უშუალობით, რომლითაც დახატულია ჩვენი სინამდვილე.

გიორგი მერკვილაძე.

„სიტყვა იყო ღმერთი“...

ბოლოდროინდელი ერთი მოთხრობის ეს სათაური ფრიად სიმბოლურია! მას ღრმა ფსიქოლოგიური და სოციალური დატვირთვა აქვს. მწერლობა სიტყვის ხელოვნებაა. სიტყვის შერჩევით და მის აზრთან შეწყობით ვლინდება მწერლის ოსტატობა. სიტყვა აზრის მსახურია. სიტყვის მეშვეობით მწერალი ხასიათებს ხატავს, ცხოვრებიდან აღებულ და განზოგადებულ ხასიათებს. მათივე მეშვეობით კავშირს ამყარებს დროსთან, ეპოქასთან, სამყაროსთან, პრობლემასთან. მის ნაწარმოებებში კი ყოველთვის ეპოქის დიდი და მღელვარე პრობლემა დგას, ხოლო ქვეყნის დიდი სატკივარის გამოხატვა სწორად შერჩეულ ტიპურ პიროვნებებს ძალუძთ. ამიტომაც ეძებს ხოლმე დიდხანს კონსტანტინე ლორთქიფანიძე მომავალი ნარკვევის, მოთხრობის თუ რომანის გმირებს, რათა მათი მეოხებით ქვეყნის დიდი სატკივარი ითქვას. ასე დაიწერა მისი პირველი ნარკვევი „ახალი გლეხები“, ასე შეიქმნა რომანი „კოლხეთის ცისკარი“, ნარკვევები და ნოველები დიდ სამამულო ომზე, რომანი „ნატვრის თვალი“, დოკუმენტური პროზის ნიმუშები „რა მოხდა აბაშაში“, „მთას დაუბრუნდა მთიელი“ თუ „ოქროს მტევანი“. შევაერთოთ ყველა ეს ნაწარმოები და ჩვენ მივიღებთ საქართველოს მიწის „პატრონთა“ მხატვრულ ისტორიას.

მწერალმა იწამა ხალხური შეგონება: ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო. და რომ ეს ნანახი ჩვენი ადამიანების გონისა და სულის გამსაფხიზლებელ სამრეკლოდ აქციოს, დიდხანს უნდა უტრიალოს იმ სატკივარს, რომელიც ქვეყანასა და მწერალს აწუხებს. და იწყება ძიება ახლის, ჩვეულებრივი თვალისთვის შეუმჩნეველი ძიება. ძიება და ჭიდილი მწვავე პრობლემასთან, ეპოქის სულით ნაკარნახებ პრობლემასთან. ძიება არა მარტო ადამიანებისა, არამედ ძიება ამ მიკვლეული ადამიანების სულის გამოსახატავად საჭირო სიტყვიერი მასალისა. და ის დღედაღამ ტრიალებს ხალხში, ხალხის სატკივარს, ქვეყნის სატკივარს გაიშინაურებს: თვეობით, წლობით ცხოვრობს იმ გმირებთან, რომლებიც ხვალინდელი რომანისა თუ ნარკვევის პერსონაჟებად გადაიქცევიან. დიდხანს საუბრობს ამ ადამიანებთან, ისმენს მათს გულისტკივილს და თვითონაც ანდობს თავის გულისთქმას. მერე მათ შორის სრული ნდობა მყარდება. ამ ნდობის ნიადაგზე იმართება გულმართალი დიალოგი, ხშირად პაექრობაში და კამათში რომ გადავა ხოლმე. მერე აფთიაქის სასწორზე წონის ყოველივე ამას, წერას შეუდგება; იქმნება პირველი ვარიანტი, იბადება უკმარისობის გრძნობაც. ისევ მიაშურებს გმირების ადგილის დედას, რათა კიდევ ათჯერ, ასჯერ ჩაიხედოს მათს სულში, რათა შემდეგ მწერალმა გადაადნოს ყველაფერი ეს და ისევ მიუბრუნდეს მკითხველის იმ ტკივილებისა და პრობლემების, მოვლენებისა და ფაქტების, მწერლის მიერ შექმნილ პირველ მხატვრულ მოდელს. სინამდვილიდან, ნატურიდან მხატვრული სინამდვილის ახალი ვარიანტი უნდა დაიბადოს. მერე ფაქტების შეჯერებით შექმნილ მხატვრულ მოდელს უდარებს ჩვენს ოფიციალურ პრესაში ამოკითხულ ფაქტებს, მოვლენებს, ქრონიკებს, კორესპონდენციებს და ყოველივე ამის შემდეგ გამოაქვს საბოლოო განაჩენი. ასე იქმნება მისი თავანკარა პროზა, რომლის ულევი წყარო ცხოვრებაა, ამიტომაც უაღრესად მიწიერია მისი მოთხრობები. თვითონ მწერალიც ამიტომ დაჰფოფინებს ასე მიწას. კონსტანტინე ლორთქიფანიძე მიწის ღვთაებრივი მადლით მირონცხებული მწერალია. სოფელი იყო და არის საქართველოს მარჩენალი. სოფლის ძალა კი მიწის მადლს ეფუძნება და, მწერლის აზრით, უდიდესი ცოდვაა ადამიანი არ იყოს ღირსეული ბატონ-პატრონი მიწისა. იმ ეპოქალურმა ძვრებმა, რომლებიც მიწის პატრონობას და მის გონიერ გამოყენებას უკავშირდებოდა, მწერლის თვალწინ გაიარა.

პირველ კომუნართა ცხოვრებას კახეთში გაეცნო, შემდეგ იმერეთში შეესწრო კოლმეურნეთა პირველ ნაბიჯებს. იქ შეხვდა ახალ ადამიანებს: სიმონ ჩოხელს, მექი ვაშაკიძეს, ტარას ხაზარაძეს, ამ ახალი ადამიანების დაბადების მოწმეც იყო, მონაწილეც და მათი ნათლიაც როგორც მწერალი... მერე ომის გზას გაუდგა ფარაჯიანი მწერალი. ფრონტული ცხოვრებით იცხოვრა, მეომართა სულში ჩაიხედა, მათი საოცარი გმირობის თანამონაწილე გახდა და შინ რომ დაბრუნდა, ისევ სოფლისა და მიწის თემას მიუბრუნდა — ახალი რომანი „ნატვრის თვალი“ დაწერა. უკმარისობის გრძნობა მაინც არ ასვენებდა. მწერლის დიდმა გამოცდილებამ, მიწის ძახილმა აბაშაში მიიყვანა. აქ შინაგანად უაღრესად პატიოსანი და ნამუსიანი ადამიანების ნამოქმედარი და მიწისადმი დამოკიდებულება მისხალ-მისხალ უნდა აწონო! ამის მერე კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ: „მაინც მგონია, ყველაზე დიდი გადახვევა სოციალიზმის პრინციპიდან დაცარიელებული ბელელია“. ეს მეტად გაბედული დასკვნა იყო, მაგრამ მართებული დასკვნა: უნდობლობის დაღით დაიდაგა გლეხის სული საკოლმეურნეო სოფლის ზოგიერთი უბირო ხელმძღვანელის ხელში. გლეხმა დაკარგა ნდობა და, რაც მთავარია, მიწის სიყვარული. ეს ფსიქოლოგიური და სოციალური ზღურბლი უნდა გადაილახოს, სხვა ალტერნატივა არ არსებობს, ეს უდიდესი გაბედულება იყო მწერლის მხრიდან, რომელსაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა. მარტო ეს დამსახურება იყოფა კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, ამ ქართული სიტყვის ოსტატს, ეპოქის ტკივილების ჭეშმარიტი მხატვარი რომ ვუწოდოთ.

ადამიანის ყველაზე მაღალი ღირსება იმით მჟღავნდება, თუ რამდენად აქვს მას კრიტიკული დამოკიდებულების უნარი, ის, რაც დროის შემოწმებას ვერ უძლებს, რაც ხალხის გულისთქმას ვერ გამოხატავს, უნდა შეიცვალოს, ამას მოითხოვს ის საკუთარი თავისაგან და სხვებისგანაც — ქვეყნისგანაც. უკმარისობის გრძნობა კონსტანტინე ლორთქიფანიძის საოცარი თვისებაა. ის ერთადერთი მწერალია, რომელიც ასე დაუნდობლად ეპყრობა მის მიერვე შექმნილ მხატვრულ ქმნილებებს. კრიტიკულად აფასებს ახალ ვითარებაში მისი მწერლური სულისაგან შობილ ქმნილებას, და აი, კვლავ უბრუნდება წინათ დაწერილს და ასე იბადება ხელმეორედ ახალი მოდელი უკვე წლების წინათ შექმნილი ნაწარმოებისა. ეს მაძიებელი მწერლის საოცარი გამბედაობაა. მაგრამ მას ენდობა მკითხველი, როგორც ოსტატს, და ამიტომ ყველა ამ ოპერაციის შედეგიც კმაყოფილებით მიიღო. ასეა, თვით ცხოვრებამ მოითხოვა კორექტივები და ეს შესწორებაც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ეპოქის, ახალი სამყაროს, მანამდე უცნობი სამყაროს ნიშან-თვისება შეიძლება იყოს.

იყო დღევანდელობის მხატვარი — ნიშნავს არა მარტო იმას, იყო მემატიანე ახალი დროისა, რომ მომავალმა თაობებმა ამოიკითხოს ჩვენს წიგნებში, რით ვცხოვრობდით, რა ინტერესები და მიზნები გვქონდა, არამედ ჭეშმარიტ მხატვარს ისიც ევალება, ჩაერიოს თვით ამ სინამდვილის გონიერ გარდაქმნაში, იყოს თანამედროვეთა ორიენტირი, დაეხმაროს ადამიანებს ფაქტების, მოვლენების აღქმასა და შეფასებაში. ამ მხრივ უნდა ეხმიანებოდეს ჭეშმარიტი მწერალი ხალხის გულისთქმას და მან მართლაც რომ დაიმსახურა „შრომის გმირის“ ეს მაღალი წოდება.

სერგი ჭილაია.

ომის მნახველი კალამი



გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა კონსტანტინე ლორთქიფანიძის წერილების კრებული „ომის მნახველი კალამი“.

როგორც შესავალში ავტორი წერს: „ამ კრებულში თავმოყრილ ომისდროინდელ წერილებს მხოლოდ ერთი მიზანი ასულდგმულებს, — არ დაუკარგოს ქვეყანას მათი სახელი, ვინც დიდი გაჭირვების დროს სამშობლოს კაცურად გამოადგა და თავისი კარგი შვილობა დაუმტკიცა“.

მართლაც, მწერალი ჩვეული ოსტატობით გვიცოცხლებს იმ დღეებს, იმათ სახეებს, რომელთაგან ბევრს სამუდამო ძილით სძინავს სახელიან თუ უსახელო საფლავში. კ. ლორთქიფანიძე თვითონ იყო იმ სისხლიანი დღეების მონაწილე და საკუთარი თვალით ნახა სამშობლოს მამაც დამცველთა თავდადება. მერე რესპუბლიკურ თუ საფრონტო გაზეთებში მოუთხრობდა ხალხს იმ ადამიანებზე. და აი, ერთად აკინძული იმ დღეთა ამბები...

წიგნის პირველ ნახევარში შესულია წერილები „ამხანაგი“, „რა შეუძლია ერთ უშიშარ მებრძოლს“, „ქიტიაშვილის ხოხობი“, „ბაქსანზე“, „გამგზავრება“, „დავიწყება არ უწერია“, „გარღვევა“, „ცისფერ ხაზთან“, „ტამანისაკენ“, „სიკვდილის აგარაკზე“, „ტანკების პირისპირ“, „მზევრავი გიორგი მუმლაძე“, „უტაშთან“, „ტანკსაწინააღმდეგო თოფით“, „კაპიტანი შალვა დავითულიანი“, „გამარჯვების დროშა“.

მეორე ნაწილი კი ეთმობა წერილების ციკლს „სევასტოპოლისათვის იბრძოდნენ“. მათი უმრავლესობა გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე. აქვეა „იზვესტიაში“ დაბეჭდილი ოთხი წერილი (რუსულ ენაზე) — და ყოველივე ეს ერთად სამამულო ომის ქარცეცხლიანი დღეების უტყუარი მატიანეა.

წიგნის რედაქტორია გ. ზედინიშვილი. გამომცემლობის რედაქტორი — ლ. თურბანდიშვილი, მხატვარი — ო. ქანდარია.

„კომუნისტის"

კალენდარი

ღვაწლი მწერალი ქალისა

მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლების და XX საუკუნის დამდეგის ერთ-ერთი საინტერესო მოღვაწე იყო დომინიკა ერისთავ-განდეგილი. ამ დიდი შემართების ქალმა თავისი გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში. მას ბედნიერება ჰქონდა თავისი წერილები ებეჭდა ილიას, აკაკის, ვაჟას, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ალ. ხახანაშვილისა და სხვათა გვერდით. იგი იყო შესანიშნავი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. იგი პირველი კორექტორი ქალი გახლდათ, რომელიც ილიამ გაზეთ „ივერიაში" მიიწვია როგორც ქართული ენის საუკეთესო მცოდნე. 1893 წელს ილიამ მისი პირველი ლექსი დაბეჭდა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ მან სარედაქციო მუშაობა ჩააბარა (ილიას პიროვნებით და შემოქმედებით გატაცებულმა ქალმა ფსევდონიმად „განდეგილი" აირჩია). ამან გარკვეულწილად განაპირობა პოეტი ქალის სახელი და ავტორიტეტი.

დომინიკა ერისთავ-განდეგილმა თავისი საზოგადო მოღვაწეობა ქალის უფლებების დაცვით დაიწყო. მან თავის საბრძოლო ამოცანად ქალის თავისუფლების იდეა დაისახა.

დომინიკა ზურაბის ასული ერისთავი სოფელ სალომინაოში დაიბადა 1865 წელს. მამა ზურაბ ერისთავი მოწინავე, ნაკითხი კაცი იყო. ოჯახის მდიდარმა ბიბლიოთეკამ ხელი შეუწყო ქალიშვილის გონებრივ განვითარებასაც. დაოჯახების შემდეგ დომინიკა ერისთავი თბილისში გადმოვიდა, სადაც უახლოვდება ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძეს, ეცნობა ილიას, 1893 წლიდან სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში და ქართველი საზოგადოების ყურადღებას იქცევს.

პოეზიაში განდეგილი, როგორც ალ. ხახანაშვილი აღნიშნავს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეების ილიას, აკაკის, ვაჟას რეალისტური სკოლის მიმდევარი იყო. მის ლირიკულ ლექსებში არა მარტო პოეტი ქალის ნაზი, მგრძნობიარე ხმა ჟღერდა,- არამედ ვაჟკაცური, ომახიანიც.

„მა, შენთვის გული ტახტად
დადგმული
შენ სატრფიალოდ აქვერებული,
მა, შენთვის სული
მრავალტანჯული
და თვალნი შენთვის
აცრემლებული".

მთელი თავისი სიცოცხლე პოეტი ქალი ამ ორ დიდ კერას — სამშობლოს და თავის საყვარელ ხალხს ეალერსებოდა და უმღეროდა.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში იგი მგზნებარე რევოლუციონერის ირ. ევდოშვილის გვერდით იდგა და თავის მღელვარე ლექსებით სასტიკად ილაშქრებდა ცარიზმის წინააღმდეგ.

განდეგილი ბელეტრისტიკაშიც მუშაობდა. იგი ავტორია ბევრი კარგი მოთხრობისა, ნოველისა, ეტიუდებისა და ესკიზებისა, რომლებშიც თავისი დროის საჭირბოროტო სოციალურ საკითხებს აყენებს. ქალის მოქალაქეობრივი, საზოგადოებრივი როლის შესახებ კი იგი წერდა: „დედაკაცი საფუძველია მეცნიერებისა. იგი ბურჯია ოჯახის, ერისა და საზოგადოებისა. დედაკაცი ერთადერთი უტყუარი საზომია ერის სულიერი ძლიერებისა, რამდენადაც მთლიანი თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად სალია საზოგადოება — ეს წვეთი კაცობრიობის ოკეანესი. ყოველი დიდი შემოქმედის ნიჭი იქ წარმოიშობის, სადაც დედაკაცი მონა კი არ არის, არამედ თავისუფალი ადამიანია".

განდეგილმა დააარსა „ქართველ ქალთა საზოგადოება", რომელიც ბევრ მნიშვნელოვან ეროვნულ-კულტურულ საქმიანობას წაუძღვა წინ, მან ხელი შეუწყო ქართველი ქალის გამოფხიზლებას, გათვითცნობიერებას, ამოქმედებას... ქალთა საზოგადოების საქმიანობაში მან აკაკი წერეთელიც მიიზიდა.

დომინიკა ერისთავ-განდეგილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის მთარგმნელობით მუშაობას. მას კარგად ესმოდა სხვადასხვა ხალხის დაახლოების, დამეგობრების საქმეში მხატვრული ლიტერატურის დიდი როლი.

განდეგილს დიდი სახელი მოუხვეჭა ალ. გრიბოედოვის ცნობილი კომედიის ქართულ ენაზე თარგმნამ. ეს იყო პირველი სრული თარგმანი და დღემდე ერთადერთი. „ვაი ჭკუისაგან" 1902 წელს გამოიცა, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი ორჯერ (უკანასკნელად 1945 წელს).

განდეგილმა აგრეთვე დაგვიტოვა კრილოვის, ტურგენევის, ტოლსტოის, გორკის, პოზდნიაკოვის ნაწარმოებების თარგმანები.

დომინიკა ერისთავ-განდეგილი საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც მუშაობდა ბათუმის და ქუთაისის პერიოდულ გამოცემებში. სიცოცხლის ბოლო წლებში კი თბილისში, გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში მოღვაწეობდა.

გარდაიცვალა პოეტი ქალი 1929 წელს. ღირსეული მოღვაწე ქალი, რომლის დაბადების 120 წლისთავი ამ დღეებში შესრულდა, დიდუბის პანთეონში განისვენებს.

ნინო ჩიხლაძე.

კინოფესტივალი ასახელებს გამარჯვებულებს

ცხინვალში დამთავრდა ქართული ფილმების V რესპუბლიკური კინოფესტივალი, რომელმაც ერთხელ კიდევ ცხადყო ეროვნული კინოხელოვნების წინსვლა და აღმავლობა. უკანასკნელ სამ წელიწადში შექმნილი 80-მდე მხატვრული, დოკუმენტური და მულტიპლიკაციური ფილმი ინტერესით ნახეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა. მათ გულთბილი მასპინძლობა შეაგებეს ქართული კინოხელოვნების ოსტატებს. ცხინვალის კინოთეატრებში სამი დღის განმავლობაში ტევა არ იყო. მოსახლეობა ყველგან სიყვარულით ხვდებოდა ცნობილ კინომოღვაწეებს ლ. აბაშიძეს, ე. ამირეჯიბს, ე. შენგელაიას, გ. შენგელაიას, ნ. ნენოვას, ნ. მაჩავაძეს, ვ. ბახტაძეს, მ. კოკოჩაშვილს... ეს შეხვედრები კი მარტო ცხინვალში არ ყოფილა, კინოფესტივალის მონაწილენი იყვნენ ჯავაში, ლენინგორში, ზნაურში...

ფესტივალის ბოლო დღეს, როცა კინოთეატრ „ჩერმენში" კინოფესტივალის შედეგები შეჯამდა, მაყურებელმა გულწრფელი, მქუხარე ტაშით დააჯილდოვა ლაურეატები. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. კაბულოვამ სიტყვა მისცა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორს ნ. გურაბანიძეს, რომელმაც გამოაცხადა ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილება: პირველი პრემია საუკეთესო მხატვრული ფილმებისათვის მიენიჭა ფილმს „გზა შინისაკენ". (რეჟისორი — ა. რეხვიაშვილი). მეორე პრემია — მხატვრულ ფილმს „ცხელი ზაფხულის სამი დღე" (რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი). პრემია საუკეთესო მხატვრული ტელეფილმისათვის მიიღო რეჟისორ გ. ლევაშოვ-თუმანიშვილის ნამუშევარმა „ათოვდა ზამთრის ბაღებს", საუკეთესო მულტფილმად აღიარეს „ჭრელი პეპელა" (რეჟისორი— შ. ჭავჭავაძე). პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის დაიმსახურა ლ. იოსელიანმა ბერნარდა ალბას სახის შექმნისათვის სატელევიზიო მხატვრულ ფილმში „დები წყვდიადში" (რეჟისორი — ბ. ჩხეიძე), მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრემია მიიღო მსახიობმა რ. მიქაბერიძემ (მხატვრული ფილმები „მოცურავე" და „მაცივარში ვიღაც იჯდა"). ფესტივალის პრემია საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისათვის მიენიჭა ა. მაისურაძეს — ფილმის „გაზაფხული გადის" დამდგმელ ოპერატორს.

საუკეთესო სცენარისათვის პრემია მიიღეს დ. ჯავახიშვილმა და ე. ახვლედიანმა — ფილმის „ცხელი ზაფხულის სამი დღის" სცენარის ავტორებმა.

დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ჟიურიმ პირველი პრემია მიანიჭა კინოდილოგიას „ფურცლები ფრანგული დღიურიდან" და „პირველად იყო სიტყვა" (სცენარის ავტორი და რეჟისორი — რ. თაბუკაშვილი). პირველი პრემია საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის მიენიჭა ფილმს „უდაბნოს" (სცენარის ავტორები და რეჟისორები — ა. თუმმალიშვილი, ა. ქოქრაშვილი). საუკეთესო დოკუმენტური ტელეფილმისათვის პრემია დაიმსახურა ფილმმა „ანდრია ბალანჩივაძემ" (რეჟისორი — ზ. ინაშვილი), განაწილდა აგრეთვე სხვადასხვა სახისა და რანგის პრიზები და პრემიები.

ჟიურის სპეციალური პრემია მიენიჭა რამდენიმე ფილმს; პირველი პრემია ხვდა კინოჟურნალს „საბჭოთა ოსეთი" № 12, 1983 წ. (რეჟისორი შ. ჩაგუნავა).

ფესტივალის დახურვისას გულთბილი მასპინძლობისათვის ცხინვალელებს მადლობა გადაუხადა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა, კინორეჟისორმა ე. შენგელაიამ.

ფესტივალის დახურვას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

გ. თედეევი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ყაბახი

სამნი კვარცხლბეკზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 18 წლის სტუდენტმა ვლადიმერ გოგოლაძემ ორი წელია რაც სპორტული ტანვარჯიშის სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. ამ ხნის განმავლობაში მან არაერთი წარმატება მოიპოვა: 1984 წელს გოგოლაძე მრავალჭიდში იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გახდა, წლეულს კი უკვე მოზრდილთა შორის გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" პრიზზე და „რიგა-85"-ის საერთაშორისო შეჯიბრებში შესაბამისად მეორე და პირველი ადგილები მოიპოვა.

ვლადიმერ გოგოლაძის ახალი წარმატება

ყოველივე ეს წინ უსწრებდა ევროპის წლევანდელ ჩემპიონატს, რომელიც ამ დღეებში ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გაიმართა. იქ გოგოლაძე საქვეყნოდ აღიარებულ ტანმოვარჯიშეებთან მეტოქეობისას მრავალჭიდში მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. მან ამ შეჯიბრებაზე 57,40 ქულა დააგროვა. მრავალჭიდში უძლიერესი გახლდათ მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, მოსკოველი დიმიტრი ბილოზერჩევი (58,45 ქულა). მეორე ადგილი დაიკავა ლაინინსკ-კუზნეცკელმა ვალენტინ მოგილნიმ (57,60).

ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშებში ბილოზერჩევმა 5 პირველი ადგილი მოიპოვა (თავისუფალ, ტაიჭზე, რგოლებზე, ორძელზე ვარჯიშებში და აგრეთვე ღერძზე უნგრელ ზ. ბორკაისთან ერთად). ბჯენით ხტომაში უძლიერესი იყო ს. კროლი (გდრ). ვ. გოგოლაძემ ორძელზე ვარჯიშში მესამე ადგილი დაიკავა.

სურათზე: ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ვლადიმერ გოგოლაძე.

ყვავილების დღესასწაული მცხეთაში

გასულ შაბათს ქალაქ-მუზეუმის მცხეთის მთავარი ქუჩა — სტალინის ქუჩა ყვავილებით, დროშებით იყო მორთული. ქუჩაზე მოაბიჯებდნენ ლამაზ კოსტიუმებში გამოწყობილი ბავშვები.

მცხეთა აღნიშნავდა თავის პირველ ყვავილების დღესასწაულს, რომელიც ამიერიდან ტრადიციული გახდება. და აღსანიშნავია ის, რომ სწორედ მცხეთამ ჩაუყარა საფუძველი ამ ტრადიციას. მიხეილ მამულაშვილის მოსაგონებლად გადაწყდა დაეარსებინათ ნათელი, ლამაზი დღესასწაული, რომელიც წლეულს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს დაემთხვა.

მცხეთის რაიონის ხუთი ათასი ბავშვი მოვიდა თეატრონთან — დღესასწაულის ცენტრში. უცნობი ჯარისკაცის ობელისკი პიონერებმა ყვავილებით შეამკეს.

(საქინფორმი).

მოვლენის წინ

ხუმრობა... ვიოლინოსა და ორკესტრისათვის

ქალაქში გამოჩნდა აფიშები, რომლებიც იუწყებიან, რომ პირველად ჩვენს ქვეყანაში 5-9 ივნისს თბილისში ეწყობა ფესტივალი უჩვეულო სახელწოდებით —„მუსიკოსები ხუმრობენ". ფესტივალის მოწყობის ინიციატორი და ორგანიზატორია საქართველოს კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსებისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ლიანა ისაკაძე. საქინფორმის კორესპონდენტმა მ. გაბრიაძემ სთხოვა მას ეამბნა მომავალი ფესტივალის შესახებ.

— ფესტივალი, როგორც ყოველგვარი შემოქმედებითი დათვალიერება, მიზნად ისახავს პროპაგანდა გაუწიოს კლასიკურ მუსიკალურ მემკვიდრეობას. მთავარია მივიზიდოთ ახალი მსმენელები, შესაძლებლობა მივცეთ მათ დიდი კომპოზიტორების საინტერესო მუსიკასაც ეზიარონ, დაისვენონ და იცინონ. გახსოვთ, გორკი ამბობდა: „კარგი სიცილი სულს აჯანსაღებსო". ასე რომ, ხუთი თეატრალიზებული კონცერტის მსმენელები გაეცნობიან ბახის, მოცარტის, გერშვინის, შუბერტის, სტრავინსკისა და სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებებს, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში ღრმად ფილოსოფიური მოტივების გარდა, მიმართავდნენ სახუმარო თემატიკას, თხზავდნენ მუსიკას რამდენადმე უჩვეულო რაკურსით. თუმცა, მსმენელი თავად დარწმუნდება ამაში, როცა ეწვევა საფესტივალო საღამოებს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

— გვიამბეთ ერთი, რა ნაწარმოებები აჟღერდება კონცერტებზე და ვინ მიიღებს მონაწილეობას.

— მუსიკოსებთან ერთად კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ თეატრისა და კინოს ცნობილი ოსტატები. მაგალითად, პოპულარული მსახიობი ზინობი გერდტი მოგვევლინება მუსიკალური კომენტატორის — კონცერტის წამყვანის როლში. კონცერტისათვის ტექსტები დაწერა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ე. მაჭავარიანმა. სპორტული კომენტატორის როლში, მაგრამ რამდენადმე უჩვეულო ამპლუაში, მაყურებელი ნახავს საქართველოს სახალხო არტისტს კოტე მახარაძეს...

სპეციალურად ამ ფესტივალისათვის დაწერეს ნაწარმოებები და ჩვენს ორკესტრს უძღვნეს ცნობილმა საბჭოთა კომპოზიტორებმა ე. დენისოვმა და ა. შნიტკემ, ინგლისელმა კომპოზიტორმა მაკ ბერნემ. ქართველი მსმენელი შეხვდება ქვეყნის ისეთ გამოჩენილ მუსიკოსებს, როგორიცაა ა. ლიუბიმოვი, ა. სლობოდიანიკი, დ. ალექსეევი, ვ. ფელცმანი, ტ. გრინდენკო, ვ. სპივაკოვი, ჯ. კახიძე და სხვები.

— მსოფლიოში ერთადერთი გაბროვის იუმორისა და სატირის სახლის დევიზი ასეთია: „მსოფლიო გადარჩა, რადგან იცინოდა". ამაში, უთუოდ, დიდი აზრია ჩაქსოვილი, სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა ეპოქაში ჰქონდათ სიცილის, მხიარული ხუმრობისა და კარნავალის, გათამაშების დღე.

— საინტერესოა, გახდება თუ არა წლევანდელი ფესტივალი ტრადიციული?

— ძნელია, რა თქმა უნდა, ზუსტად განსაზღვრო მისი სიცოცხლისუნარიანობა და ალბათ, ეს არც იმდენად მნიშვნელოვანია. დიდმნიშვნელოვანია ის, რომ ეს უძველესი წეს-ჩვეულება ჩვენს დღეებშიც გრძელდება და გამოვიყენეთ იგი მუსიკაში — თავს უფლება მივეცით გვეხუმრა ძალზე შინაარსიანი საკონცერტო სეზონის დამლევს, თუმცა ამ ხუმრობის მიღმა დიდი, საგულდაგულო მუშაობაა.

—გთხოვთ, გვითხრათ რამდენიმე სიტყვა კამერული ორკესტრის „სერიოზული" გეგმების შესახებ.

— ივნისში ორკესტრს ლენინგრადთან შეხვედრა მოელის. ჩვენს კოლექტივს მიენიჭა უფლება გახსნას ფესტივალი „თეთრი ღამეები", ივლისში ორკესტრი კვლავ იწვევს მუსიკის მოყვარულთ ბიჭვინთის კამერული მუსიკის ტრადიციულ ფესტივალზე „ღამის სერენადები". შემოდგომაზე გავემგზავრებით საზღვარგარეთ — გასტროლებს გავმართავთ ინგლისში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში.

(საქინფორმი).

მეშვიდე, ტრადიციული...

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზს საბჭოთა ნაკრები მეექვსედ დაეუფლა

წარსულ კვირადღეს თბილისის ლენინური კომკავშირის წყალჯომარდობის კომპლექსის აუზში დამთავრდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე წყალბურთელთა მეშვიდე საერთაშორისო შეჯიბრება. ბოლო ტურის მატჩები ასე დამთავრდა: უნგრეთი-კუბა — 10:9 (4:3, 4:2, 2:3, 0:1), იუგოსლავია-სსრ კავშირი — 10:14 (4:5, 2:2, 3:4 1:3), საქართველო-შვეცია — 4:6 (1:0, 0:2, 0:3, 3:1), ამ დღეს საქართველოს წყალბურთელთაგან ბურთები გაიტანეს მაჭავარიანმა — 2; კუტივაძემ და ბადათურიამ — თითო გოლი.

ყველაზე უკეთ იასპარეზა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც ექვსივე მეტოქე დაამარცხა, დააგროვა ქულათა მაქსიმუმი (12) და უკვე მეექვსედ დაეუფლა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზს. მეორე ადგილზე გამოვიდა ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ჩემპიონი — იუგოსლავიის ნაკრები (10 ქულა), მესამეზე — უნგრეთის გუნდი (7). რუმინელებმა 6 ქულა დააგროვეს, კუბელებმა და შვედებმა — 3-3, საქართველოს ნაკრებმა — 1 ქულა.

სურათზე: „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. გვახარია პრიზს გადასცემს საბჭოთა ნაკრების კაპიტანს ს. კოტენკოს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ზ. თ. გეგეშიძე

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, 1939 წლიდან სკკპ წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ზინაიდა თორნიკეს ასული გეგეშიძე.

ზ. გეგეშიძე დაიბადა 1910 წელს სოფ. ღიმში (მაიაკოვსკის რაიონი) პედაგოგის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის სკოლებში.

1935 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა პარტიის ისტორიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. იგი პირველი ქალია საქართველოში, რომელსაც მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი პარტიის ისტორიის დარგში. მან დიდი შრომა გასწია საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევების პირველი გამოცემის მომზადებისათვის. არის მონოგრაფიის „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების არალეგალური სტამბები (1900-1920 წწ)" ავტორი, აგრეთვე ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევების თანაავტორი. იყო ინსტიტუტის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი.

იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

თვალსაჩინო მკვლევარის, გულისხმიერი და პრინციპული ადამიანის ზ. გეგეშიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი; საქართველოს სსრ საისტორიო საზოგადოება.

სახალხო დღესასწაულებზე

„გოგლაობა" პატარძეულში

მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაიწყო და შემდგომ მშობლიურ სოფელ პატარძეულში გაგრძელდა ამჯერად ტრადიციული დღესასწაული, რომელიც საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის ხსოვნას ეძღვნება. საგარეჯოს რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებმა, მწერლებმა და კულტურის მოღვაწეებმა გვირგვინებით შეამკეს პოეტის საფლავი და სახელდახელო მიტინგიც აქვე გაიმართა.

პატარძეულში პოეტის მშობლიური სახლის აივნიდან დღესასწაული გახსნა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა. დიდ პოეტთან ურთიერთობის საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს მწერლებმა გიორგი ციციშვილმა, რევაზ ინანიშვილმა, ლადო მრელაშვილმა, პატარძეულის საშუალო სკოლის მასწავლებელმა თამარ ხუროშვილმა, ლიტერატურათმცოდნემ სირა ჭიჭინაძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა დავით გოგოჭურმა, პოეტებმა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა და ზინა სოლომნიშვილმა. პოეტის ლექსები წაიკითხეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ტარიელ საყვარელიძემ და მსახიობმა ზაზა ბაწელაშვილმა.

გიორგი ლეონიძის ლექსების საკუთარი თარგმანები გააცნო დამსწრეთ სომეხმა პოეტმა ისააკ მანველიანმა.

პოეტის სავამზრდელოში დაწყებული ზეიმი „გოგლას გორაზე" გაგრძელდა. ერთმანეთს ცვლიდა ლექსი, ცეკვა და სიმღერა, და რაც მთავარია, ამ დღის საერთო განწყობილება ნათლად მეტყველებდა უკვდავებაზე პოეტისა და მამულიშვილისა, რომელსაც მშობელ მიწაში ედგა ფესვები...

საგარეჯოს რაიონული გაზეთი „ივრის განთიადი" — „კომუნისტის" კოლექტიური კორესპონდენტი.

ზეზვაობა

ნათელი ხსოვნის უკვდავების დასტურად იქცევა ხოლმე სახალხო დღესასწაული „ზეზვაობა", რომელიც თითქმის ყოველწლიურად იმართება ახმეტის რაიონში და სახალხო გმირის ზეზვა გაფრინდაულის სახელს ატარებს.

ასე იყო ამჯერადაც, როცა დღესასწაულის სტუმრები და მასპინძლები იმ ისტორიულ ადგილას (გაწყვეტილასთან) შეიკრიბნენ, სადაც კახთა აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ ქართველთა გამარჯვებით დაგვირგვინდა, და რომელშიც დიდი გმირობა გამოიჩინა ზეზვა გაფრინდაულმა.

ხალხმრავალი ზეიმი გახსნა ქვემო ალვანის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ბახტურიძემ. ზეზვა გაფრინდაულის გმირობასა და ხალხის ხსოვნაში მისი სახელის უკვდავებაზე ილაპარაკა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ვ. ელანიძემ.

ზეიმზე ერთმანეთს ენაცვლებოდა ცეკვა, სიმღერა და ხალხური ლექსები ზეზვას გმირობაზე.

მხატვრულ თვითმოქმედებით კონცერტში მონაწილეობდნენ სახალხო მთქმელი ი. ლონგიშვილი, ქვემო და ზემო ალვანის საშუალო სკოლის მოსწავლეები, კულტსახლთან არსებული მეგარმონე ქალთა ანსამბლი და ახმეტის ქორეოგრაფიული სტუდიის აღსაზრდელები.

ზეიმი დაამშვენა სპორტულმა ღონისძიებამ — დოღმა და ქართულმა ჭიდაობამ.

ი. სტორელი.



გვიწვევს ქუთაისის კემპინგი

სურათებზე: ცხენებით მოგზაურობა სიამოვნებას გვრით ქუთაისის კემპინგის სტუმრებს; სტუმართმოყვრულად ხვდება საკავშირო მარშრუტებით მოგზაურებს ქუთაისის ტურისტული სასტუმრო „ზვამლი".

გ. შარაშენიძისა და გ. გერსამიას ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფეხბურთის ამბები

მსოფლიო პირველობის ევროპის მეექვსე შესარჩევ ჯგუფში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი. ირლანდიელებმა მიიღეს შვეიცარიელები. მასპინძლებმა ეს შეხვედრა მოიგეს დამაჯერებელი ანგარიშით 3:0. ახლა ამ ჯგუფში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: შვეიცარია და ირლანდია — 5-5 ქულა (10-10 შესაძლებლიდან), სსრ კავშირი — 4 (8-დან), დანია — 4 (6-დან), ნორვეგია — 3 (10-დან). 5 ივნისს საბჭოთა ფეხბურთელები სტუმრად ითამაშებენ დანიის ნაკრებთან. ევროპის მეოთხე შესარჩევ ჯგუფში ბულგარელებმა უმასპინძლეს იუგოსლავებს, მოუგეს მატჩი (2:1) და 9 ქულით ლიდერობენ (12-დან). იუგოსლავებს 8 ქულა აქვთ (21-დან), ფრანგებს — 7 (10-დან), გდრ-ის ფეხბურთელებს — 4 (10-დან), ლუქსემბურგელებს — 0 (12-დან).

ფეხბურთელთა მსოფლიო პირველობის აზიის შესარჩევ ჯგუფებში კი დამთავრდა პირველი ეტაპის მატჩები. მომდევნო ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან არაბთა გაერთიანებული საემიროების და ერაყის, სირია — ბაჰრეინის სამხრეთ კორეა — ინდონეზიის და ჰონკონგ — იაპონიის ნაკრები გუნდები.

გუშინ გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურის მატჩები. ამჯერად ამ შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს კოლექტივები ერთმანეთს შეხვდნენ: ლანჩხუთის „გურიამ" უმასპინძლა ბათუმის „დინამოს". შეხვედრა დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

გთავაზობთ მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების მეშვიდე ტურის შედეგებს: გორის „დილა" — ლენინაკანის „შირაკი" — 3:0, სამტრედიის „ლოკომოტივი"-თბილისის „ლოკომოტივი" — 2:2, აშხაბადის „კოლხოზჩი"-სტეფანაკერტის „ყარაბახი" —2:0, ბაქოს „გიანჯლიკი"-ნახიჩევანის „არაზი" — 2:1, მახარაძის „მერცხალი"-მინგეჩაურის „ავტომობილისტი" — 2:1, ტყიბულის „მეშახტე"-კიროვაბადის „ქიაფაზი" — 0:0, ოქტემბერიანის „სპარტაკი"-სოხუმის „დინამო" — 3:2, აშტარაკის „ოლიმპია"-ფოთის „კოლხეთი"—1:2. შვიდი ტურის შემდეგ 10-10 ქულით ლიდერობენ „კოლხოზჩი" და „გიანჯლიკი". „ქიაფაზს", „მეშახტეს" და „დილას" 9-9 ქულა აქვთ.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. ჰამბურგში გრძელდება გ. კასპაროვისა და რ. ჰიუბნერის საწვრთნელი მატჩი. კასპაროვმა მეოთხე პარტია ჯერ გადადო, შემდეგ კი მოიგო. ამრიგად, ოთხი პარტიის შემდეგ ანგარიშია 3,5:0,5 კასპაროვის სასარგებლოდ.

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე, რომელიც ტრადიციისამებრ პარიზის „როლან გაროს" სტადიონზე იმართება, მესამე წრის შეხვედრა მოსკოველმა ა. ჩესნოკოვმა ერთობ დაძაბულ ბრძოლაში წააგო ჰ. გინტჰარდთან (შვეიცარია) — 6:7, 6:4, 4:6, 6:4, 6:8.

მძლეოსნობა. იტალიის ქალაქ ბოლონიაში დამთავრდა იტალიის, ავსტრიის და საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრები გუნდების სამმატჩო შეხვედრა. საბჭოთა მძლეოსნებმა იტალიელები დაამარცხეს ანგარიშით 89:63, ავსტრიისა — 96:55. სსრ კავშირის სპორტსმენებმა 15 სახეობიდან 11-ში პირველი ადგილები დაიკავეს. მათ შორის იყო ჩვენი ოდესელი თანამემამულე ნუნუ აბაშიძე, რომელმაც ბირთვი ჰკრა 19.58 მეტრზე.

ძიუდო. 20 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის ლენინგრადში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ყველა წონით კატეგორიაში უძლიერესთა წოდება მოიპოვეს საბჭოთა ძიუდოისტებმა. მათ შორის იყო ქუთაისელი სპორტსმენი ავთანდილ გუბელაძე.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
11 ივნისი

ფეხბურთი

საბჭოთა კავშირის პირველობა
თბილისის „დინამო" — ალმა-ათის „ყაირათი"
დასაწყისი 20 საათზე.

ფეხბურთისა და ლატარიის ბილეთები ორგანიზაციებში გაიყიდება 5-6 ივნისს, ხოლო სტადიონის სალაროებში შეფარდებით ერთი ერთზე — 5 ივნისიდან.

აბონემენტების მფლობელებისთვის ლატარიის ბილეთები გაიყიდება № 7 სალაროში 5 ივნისიდან 10 ივნისამდე ჩათვლით.

სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებისათვის, სამამულო ომის მონაწილეთათვის იმუშავებს № 6 სალარო 5 ივნისიდან.

სალაროები ღიაა 10-19 საათამდე.

შესვენება 14-15 საათამდე.

10 ივნისს გაიმართება თბილისის „დინამოს" და ალმა-ათის „ყაირათის" სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

დასაწყისი 19 საათზე.

თუ ამინდი ავდარი იქნა, მატჩი გაიმართება დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე.

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი
4 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მხატვრული ტელეფილმი. 10.40 — დოკუმენტური ტელეფილმი „წყნარი დონის მხარეში". 11.10 — გ. ბერლიოზი — დრამატული სიმფონიის „რომეო და ჯულიეტას" ფრაგმენტები. 11.50 და 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — სოფლის ჰორიზონტები. 16.30 — მხატვრული ფილმი „რიტა". 18.00 — ბუნების დაცვა საბჭოთა კავშირში. 18.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ამხანაგი სვერდლოვი. ცხოვრების ფურცლები". 19.30 — ყოველ ნაბიჯში მზეა. 20.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 20.30 — ისწავლეთ ცურვა. 20.55 — მხატვრული ტელეფილმი „სადგურის უფროსი". 22.00 — „ვრემია". 22.35 — დოკუმენტური ეკრანი. 23.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „ალეკო". ფილმ-ოპერა. 10.15 — დოკუმენტური ფილმები. 10.40 — კონცერტი. 11.10 — „მალვიძარა". 11.40 — მულტფილმები. 12.10 — საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის საკითხები. 12.40 — საჭადრაკო სკოლა. 13.10 — საბავშვო მხატვრული ტელეფილმი „მეელი ცისფერ-დარბაზის ბრილიანტები". III და IV სერია. 14.20 — კინოჟურნალი „აღმოსავლეთ ციმბირი". 14.30 — ფრანგული ენა. 15.00 — კონცერტი. 15.20 — მ. სტელმახი. ნაწარმოებთა კვალდაკვალ. 16.05 — და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — ადამიანი და კანონი. 19.45 — მუსიკალური კიოსკი. 20.15 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „ეცხლი". I სერია. 23.55 — ახალი ამბები.

თბილისი
4 ივნისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.05 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ციცკარა" — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბურატინოს თავგადასავალი". I სერია. 11.15 — „სამხატვრო თეატრის დღეები მახარაძეში" (განმეორებით). 12.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პორტრეტი". 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი (სტუდიაშია ზ. ჭუმბურიძე). 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (სტუდიაშია გ. ცირაქაძე). 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (სტუდიაშია ალ. ბათიაშვილი). 16.45 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცნობი სიმღერა". 17.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მოჰრძანდით ამ ტაძარში". 18.05 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი სადისკუსიო კლუბი" (განმეორებით). 19.15 — კვალი ნათელი" — ისიდორე დოლიძე. 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (8). 20.00 — „მოამბე". 20.30 — კინოპროგრამა კახა კავსაძის მონაწილეობით (მსახიობის დაბადების 50 წლისთავის გამო). 21.20 — „ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს". 21.40 — მულტიპლიკაციური ფილმი უფროსებისათვის „მავნე" (ალკოჰოლის მავნეობის შესახებ). 21.50 — „ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი". 20.00 — „ვრემია". 22.35 — „ეკრანზეა კინოკომედია" — მხატვრული ფილმი „ერთგული მეგობრები".

მეორე პროგრამა. 16.35 — დოკუმენტური ფილმი „ეს თავისუფალი სამყარო". 17.40 — სატელევიზიო დადგმა „დორიან გრეის პორტრეტი" II ნაწილი.

თეატრი
4 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჟიზელა. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ახ ერგასის დღე! მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შენ ქენ სავალი გზები; თბილისის სახელმწიფო დრამატული — კომედია (21-ე აბონ. V წარმ.); მოზარდ მაყურებელთა ქართული —ზიზუნა და კარლსონი (7 ს., სექტაკლი გაცდენილი აბონემენტებისათვის).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06212 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, ცხადდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, კოსტავას 39. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11